

6988

F 75  
1906

# ပြည်သူများ




ပြည်သူများ  
ပြည်နောက်

ပြည်နောက်

၁၉၀၆ ခုနှစ်

1906






J o b s a s k e s:

|    |  |    |
|----|--|----|
| 1. | ანგელოზის ნანინა.—ლექსი აჭაპია . . . . .                             | 3  |
| 2. | პატარა მეგაზეთე—(რუსულიდგან), ჭიჭიკოსი . . . . .                     | 7  |
| 3. | ალექსისთვის სიცოცხლე.—(გაგრძელება) ნ. კისიანის 17                    |    |
| 4. | ცოდის ქვეყნების ამბები.—(თარგმანი) ირაკლი სურგუ-<br>ლაძის . . . . .  | 26 |
| 5. | გმირი-პოეტი.—(რუსულიდგან) გაგრძელება არჩილ<br>ჭავანაშვილის . . . . . | 83 |
| 6. | საფრანგეთის ისტორიიდან.—(თარგმანი) ა. შ.-სა . . . . .                | 43 |
| 7. | ფიზიკა და ქიმია.—გაგრძელება, ნ. ღ—ურის . . . . .                     | 60 |
| 8. | საქართველო სიცოცხლე მეფის დროს—ღ. კარაცაშვი-<br>ლის . . . . .        | 51 |
| 9. | გასართობი . . . . .  | 63 |

# ნატარა

საქათვისო უნივერსიტეტი

ფილიმონი გეორგი



მოწრდილთათვის

№ XI



ნოემბერი

1906



ტფილისი

ელექტრომანეტური ამზ. „შრომა“, მიხაილოვის ქუჩა № 65  
1906

286

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

|   |    |
|---|----|
| 1. ანგელოზის ნანინა.—ლექსი აკადის . . . . .                               | 3  |
| 2. პატარა მეგაზეთე—(რუსულიდგან), ჭიშიკოსი . . . .                         | 7  |
| 3. ალექსისთვის ხიცოცხლე.—(გაგრძელება) ნ. უაფაანის 17                      |    |
| 4. ციცის ქვეყნების ამბები.—(თარგმანი) ირაკლი სურბუ-<br>ლაძის . . . . .    | 26 |
| 5. გმირი-პოეტი. — (რუსულიდგან) გაგრძელება არჩილ<br>ჯავანაშვილის . . . . . | 83 |
| 6. საფრანგეთის ისტორიიდან.—(თარგმანი) ა. შ.-სა. . .                       | 43 |
| 7. ფიზიკა და ქიმია.—გაგრძელება, ნ. ღ—ურის . . .                           | 60 |
| 8. საქართველო სფომონ მეფის დროს—ღ. კარიშაშვი-<br>ლის . . . . .            | 51 |
| 9. გასართობი . . . . .  | 63 |



## ანგელოზის ნაბინა

უცხო სტუმარი, მოულოდნელი,  
დედის-ნუგეში, ცუცუნ პიტარა,  
ტიტინებს, პირზე რაც მოადგება;  
ტრიალობს მთელს დღეს, როგორც რომ ჯარა!

ვითა პეპელა, ცელქობს ნელ-ნელა,  
ციმართული აქვს გული, ვით ქნარი.  
თავის ნებაა, ისრულებს სურვილს  
თვალ-ცრემლიანი, ხან მომლიშარ.

მისი ტიტილი, მისი სიცილი  
ორივე ერთად სჭრის თანასწორები;  
მტყუანი იყოს, გინდა მართალი,  
გააქვს თავისი მით ერთი-ორად.



აღრე, დილიდან დაღამებამდე,  
მოუსცენარი ამ ყოფაშია!..  
სხვები ჰუკრობენ იმაზე და მას  
არცა სწუურია და არცა ჰშია!!..



რომ დაღამდება, აჭუპუუნდება,  
თვალი ეხუჭეის, ძილი ერევა,  
და მაშინ მასზე, ვით ანგელოსზე,  
გადმოდის მალლით ლოცვა კურთხევა



დაეძინება და სიზმარს ნახავს,  
რომ ანგელოზი ჩამოფრინდება  
ელვარე ფრთებით და სიყვარულით  
ვატარა შძინარს გვერდს მოუჯდება.

ალექსით ეტყვის: „დიდ არს უფალი!..  
დიდ-არს!.. ოსსანა მაღალთა შინა!.. გამოკითხვა  
შეგერგოს მიღლით ლოცვა-კურთხევა,  
როგორც დედის ჩე!.. როგორც „ნანინა“.

—  
მე ვარ დაიკო... პატარა ლიტა,  
ანგელოზით გუნდში მოსხივ-ცისკარე.  
მე რომ მიმიხმეს, ჩემ მაგიერად  
შენ ამობრწყინდი, როგორც რომ მოვარე!

—  
ჩემმა სიკვდილმა მწუხარე დედას  
ბნელი-უკუნი გულს მიაფინა.  
ის ბნელი უნდა შენ გაუქარვო! —  
მაგრამ იძინე ჯერ-კი, „ნანინა“!..

—  
რადგანც მე შენში გაეხორციელდი  
და შენ ხარ ჩემი აშ მოადგილე,  
იყავ დედ-შამის მანუგეშებლად  
და ცხოვრების გზა გაუადვილე!

—  
შენ იქ ახარე, მე იქ ვილოცავ,  
ვით ანგელოზი „მაღალთა შინა“!..  
ეს არის, დაო, ჩემი სურვილი  
და ესვე იყოს შენი „ნანინა“.

—  
გამოილვიძებს დილას პატარა  
კარგ გუნებაზე, პირ-მომლიმარი,  
თუმც არ ახსოვს-კი იმ წინა ღამის  
არც ანგელოზი და არც სიზმარი!.



შესცინებს დედას და მი ტკბილ სიცოლს  
დედისთვის სხვა რამ არ შეეღრება!.. პირველი  
გულში ჩიცერავს პატარა გოგოს  
და მწარე სევდაც გადაეყრება!

۱۰۷





## პატარა მეგაზეთე.

((რუსულიღგან))



ხალი გაზეთები!... დღევანდელი გაზეთები!..  
ახალი დღევანდელი გაზეთები!“—ყვიროდა ერთს  
ყინულიანს დღეს პატარა ბიჭი, რომელიც პე-  
ტერბურგის ერთს მიყრუებულს ქუჩაში სცხოვრობდა. ციოდა,  
საშინლად ჰყინავდა. ბიჭუნის მთელი ტანი დამზრობდა,  
შაგრამ სიცივე მაინც ვერ აშინებდა, ილლის ქვეშ გაზეთებით  
სავსე ჩანთა ამოედო, ქუდი ჩამოეფხატა, ხელები სახელოებში  
გაეყარა და მოძრაობით, ჩქარ-ჩქარა, ფეხის ცვლით სცდილობ-  
და დამზრალი და გაყინული ტანი და ხელ-ფეხი გაეთბო რო-  
გორმე.

—“დღევანდელი გაზეთები! „პეტერბიურგსკი ლისტოვ“,

„რუს“, „ნოვოე ვრემია“ დამატებითურთ!“. .—გაიძახოდა ერთ-ოულად პატარა ბიჭი. გამვლელ-გამომელელები ჰუწეველებული ვით იჩეოდნენ იმის გვერდით, მაგრამ თბილს ქურქებში ჩაფუფნულები ყურადღებასაც არ აქცევდნენ ბიჭის ყვირილს. მხოლოდ დრო და დრო თუ ვინმე შედგებოდა ხოლმე, წამოიძახებდა სასურველ გაზეთის სახელისა და საჩქაროდ წერილს ფულს გაუწვდიდა. ბიჭიც ცაცხლად და მარდად არჩევდა მოთხოვნილს გაზეთს ჩანთიდგანა, გაუწევდიდა მყიდველსა და თან თავისს გაყინულ-გალურჯებულს ხელს გაუშვერდა ფულის მისაღებადა.

ნახევარ წამის შემდეგ გამვლელი სრულიად მიეფარებოდა თვალიდგან, ბიჭი-კი ისევ იმეორებდა ხრინწიანის ხმით:

— გაზეთები: „რუს“, „ნაშა ეიზნ“, „ნოვოე ვრემია“!

ხალხიც განუწყვეტლივ მიდი-მოდიოდა. ბიჭი ვერ ამზნევდა გამვლელების სახეს, იმეორებდა თავისს ჩვეულებრივს „ახალს გაზეთებს“ და ფიქრობდა მხოლოდ სითბოზედ... სიკიდისაგან თითქმის გაშემდა, ხელები და ფეხები უზომიდა დაზრა...

— „ნაშა ეიზნ“ — მომეცი! — გაისმა უცბად ნაცნობი ხმა.

— ახლავე!

მეგაზეთს წინ იდგა ვილაც სათვალებიანი და გრძელი შავ-თშიანი კაცი. იგი თითქმის ყოველ დღე ამ დროს გამოივლიდა ხოლმე და ბიჭისაგან „ნაშა ეიზნ“-ს ყიდულობდა.

მყიდველმა და მეგაზეთმეტერთი იცნეს. ეს კაცი ხშირად გამოელაპარაკებოდა ხოლმე კიდეც ბიჭუნიასა, ეტყოდა რასმე ალექსით და თანაგრძნობითა და წავიდოდა.

აგერ ახლაც, ვიდრე ბიჭი გაზეთს ამოილებდა, დაეკითხა:

— გაიყინე, ვანიჩა?

— არა უშეეს-რა!

— სჯობიან საჩაიერში წახვიდე; კიდეც გათბები იქა და გაზეთებსაც ბევრს გაასაღებ.

— წავიალ პატარა ხანს უკან...

— გაზეთის შეცვლილი გაზეთის პირველ გვერდის თვალიდან ერებით განშორდა.

„კარგი კიცია“, — ფიქრობდა პატარა ბიჭი, — „მაგრამ ვერ გაძიგია, რად მიწოდა ვანიჩეა, როდესაც ჩემი სახელი ტროშეა! ხვალ რომ გამოიყლის, ვკითხავ უთუოდა“...

სულ რამდენიმე თვე იყო, რაც ტროშეა ტამბოვის გუბერნიიდგან ჩამოვიდა პეტერბურგში საცხოვრებლად.

ტროშეას ბიძა, ისიც მეგაზეთე, ღვინობისთვეშივე სწერდა სოფლად დედასა და პაპას, — გამოგზავნეთ ტროშეა, გაზეთის საქმე კარგად მიღის, მოგება მრჩებაო.

მართლაცა-და, პირველ ხანად, როცა ტროშეა სოფლიდამ ჩამოვიდა, გაზეთების ვაჭრობა მარჯვედ მიღიოდა, ბიძა და ძმისწული მთელს დღეს გაზეთების ყიდვაში ატარებდნენ, ღამე-კი თავს ერთად იყრიდნენ, მხიარულ-კმაყოფილები. მაგრამ მეგაზეთების რიცხვმა მაღლე მეტის-მეტად იმატა და ტროშეასაც თანდათან შემოსავალი შეუმტკრდა. ამას კიდევ არად მიიჩნევდა და როგორმე გაუძლებდა, რომ თავს უცებ შემდეგი უბედურება არ დასტურდოდა: შობის წინა დღეებში ბიძა გაუკიცდა და მცირე ავადმყოფობის შემდეგ გარდაეცვალა. მას დამრჩა ქვრივი პატარა ბავშვითა და ამათი რჩენაც თოთის ტოლა ტროშეას დააწეა კისერზედა.

— აუ სწუხარ, ძალო, — ეუბნებოდა იგი ბიცოლასა, — ფულს მე საკმაოდ მოვიგებ, შენც გეყოფა და სოფელში გასაგზავნადაც დამრჩება“...

ძალიან ირჯებოდა ჩეენი ტროშეა და სცულობდა მეტი გაზეთები გაეყიდნა და მეტი ფული მოეტანა. თავისთვის არც ახალს ტანსაცმელს ყიდულობდა და არც მკვიდრს ფეხსაცმელსა. სიმშილასაც ითმენდა და სიცივესაცა, მაგრამ ბევრს მაინც ვერას ანარჩუნებდა. არა-ერთხელ უნახავს მას თვალურებლიანი ბიცოლა, როცა ბინდისას შინ დაბრუნებულა, გაყინული და დამშეული და არა-ერთხელ მოუსმენია ბერია ქვრივისაგან შემდეგი სიტყვები:



— კარგი, კარგი, ძალო! საქმეს როგორმე მოვაგდარებ!..  
მალე გვიზრდები, მაშინ კარგად წავა ჩვენი საქმე. შენი მატ-  
რინაკ, მოიზრდება”...

მაგრამ ტროშეას თანდათან უფრო უძნელდებოდა პეტერ-ბურგში ცხოვრება. დილიდგან საღამოდის ქუჩაში დაწანწალებდა ხოლმე საწყალი და თან ფიქრობდა ხშირად, თუ რა კარგია სოფელში ყოფნა, იქ მილი და დასვენება, კატასთანა და ციქნებთან თამაშობა, თოვლის თოჯების გაყეოება და ციგით ცურაობა... ყველაზედ მეტად-კი ტროშეა იგონებდა თავისს ციქნებს, რომლებთანაც ერთობოდა წარსულს ზაფხულს. მათ არა ჰყავდათ სხვა საქონელი, გარდა ციქნებისა, და ტროშეაც ყოველ დღე ფიქრით იმათთან იყო, მათ ევლებოდა თავსა.

- ახლა, — ფიქრობდა ტროშეა, — კარგა ლამაზად მოის-  
რდებოდნენ, ხუკუპი. წვერ-ცარცარა თხები გიხდებოდნენ.  
რა კარგი იყო ხოლმე, ტანზე რო ხელს გადავისვამდი, ან-  
და ბლუჯა ბალას ვაჩვენებდი და მოვიტუვებდი; ჯერ ბევრს  
ვარბეინებდი და მერე ვაჭმევდი დალალულ-დაქან ცულებსა!

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენმა ბიქიკომ იწყო ამბების კითხვა თავის გუბერნიიდან; ბინდისას, როცა ვაქრობა გაუ-  
თავდებოდა, მიეიღოდა ხოლმე ახლო ფარანთანა და დაიწყებ-  
და გაზეთების თვალიერებას, ტაშბოვის ამბების ძებნასა. მაგ-  
რამ, ვით, რომ ხშირად ცუდს ამბებს წატყდებოდა ხოლმე.

იწერებოდნენ: გლეხებს სიმშილი მოელის, ბევრი მათგანი დაბრუნდა ფაბრიკებიდან, და ქარხნებიდან, ბევრი უსაქმოდ არის დარჩენილი, ზოგს სოფლებში გლეხები ძარცვა-გლეჯას მისდევენ, სწვავენ და ანადგურებენ შებატონეების მამულებსა და სხ.

რა ვქნა? რა იმპავია ესა? — ჰკოირობდა ხოლმე ტროშა:

ნუ-თუ ჩვენი გლეხები ვლადიმერ თეოდორიჩის მამულის დაკავილისა წავლენ? ივაზაკები არიან, განა? ტროშების ფუქრლაშვილის ეს ვერას გზით ვერ მოესაზრებინა.

„ან არა-და, ნუ-თუ სულ აღარა მოეძებნებათ-რა საჭმელადა?“ — ფიქრობდა ხოლმე პატარა.

ერთხელ, გაზეთის თვალი ირების დროს, ტროშები შემდეგი წილითხა:

„ტაშბოვის გუბერნიაში საშინელი სიმშილია. ბევრს სოფელში სხვა-და-სხვა იყალმყოფობა მძვინვარებს უსაქმლობისა გამო. ღარიბები საქონელს ჩალის ფასადა ჰყიდიან. სტირიან, მაგრამ მაინც ჰყიდიან. სოფელს ბერეზოვში, მაგალითად, სადაც ჩვენ მოგვითდა ყოფნა, გლეხმა ივანე სედოვმა სამი ციკ-ნიდგან, რომლებიც მოელს მისს სიმღილრეს შეადგენჭნენ, გაპყიდა ორი, მალე უკანასკნელსაც გაპყიდის... მეორე გლეხი“...

ტროშები ველარ შესძლო კითხვა. „ივანე სედოვმა?“. ეს ხომ მისი პაპა არის. „გაპყიდა ციკნები... გაპყიდა ჩემი პატარა ციკნები!“.

თავ-ზარი დაეცა ტროშება. მოაგონდა, როგორ ეგებებოდა ხოლმე იგი თავისს საყვარელს ციკნებს ყოველს საღამოს კარებში, როცა ისინი მინდვრიდგან ბრუნდებოდნენ; როგორ ეხვეოდნენ ხოლმე გარსა, როცა მას ქიდვან წყალი ამოქმნდა სასმელად...

„ეხლა, მაშ ველარს დროს ველარა ენახვ იმათა“ და იგ-რძნო, რომ თვალებზედ ცრუმლები მოადგა. მიბრუნდა კედლისკენა და მწარედ იტირა...

ხალხი-კი ისევ წინანდებურად მიღი-მოდიოდა, პატარა მეგაზეთის თვალებზედ ცრუმლებს ვერავინ ჰედავდა.

შინ რომ დაბრუნდა ტროშება, უამბო ბიუოლის სოფლის სიმწარე, ჩამოჯდა მერე ტახტზედა და დაიწყო ხმა-მაღლა ჩივილ-ტირილი: ოთახში გულშემზარავი მწუხარება გამეფდა. ხელი არ ახლო პურსა, უვახშმოდ წავიდა ტროშება დასაძინებლადა; მალე ბიუოლამაც გააქრო ლამპარი, ილოცა და დაიმინა.

მაგრამ როდი ეძინებოდა ტროშეისა, სოფლის მწუხარებაზედ ფიქრობდა ისევ. გაახსენდა კოველისფერი, რაცა რამ წაიკითხა სიმშილზედა, „შეუზარა და შეეცოდა კველა: დედაც, პაპაც, ბიცოლაცა და თავისი თავიცა... „სიმშილი და ავად-მყოფობა“... იქნება დედაც ავადმყოფობს ეხლა?.. ჩავ ტროშეა ამ ზაფხულს სოფელში და ვეღარა ნახავს მას სახლში. მიღებ-მოღება, მოკითხავს დედასა... და ეტყვიან, რომ მოუკვდა... დიდ ხანს იტრირებს ტროშეა მის საფლავზედა... მაგრამ დედა ვეღარას გაიგებს... და ვეღარას დროს ვეღარ უამ-ბობს დედას, თუ რა საყდრებია პეტერბურგში, როგორი უკ-ხენო მატარებლები და ეტლებია, თეთრი ფარნები და სხ.“...

უკბად ტროშეას თავში ახალმა ფიქრმა გაუკელვა. — ყვე-ლა ამის შესახებ წერილს მივწერ ბატონს ვლადიმირ თეოდო-რის.

ზაფხულობით ვლადიმირ თეოდორისი, როგორც ნათქვა-მი იყო ზევით, სცხოვრობდა სოფელში. აქ ბატონს ვლადი-მირს ედგა ქვითყირის გალავან-შემოვლებული სახლი. მდი-დარი კაცი იყო ბ-ნი ვლადიმირი და ამასთან კეთილიც. ერ-თხელ, როცა იშისი დაბადების დღე იყო, პრძანება გასცა, რომ მთელი სახლი ლამპირებით გაეჩაღებინათ და მთელი სოფ-ლის ბიჭებისათვის კაკალი და პირის ჩასატყბანურებელი ხილი დაერიგებინათ.

— დიალ, ბატონი ვლადიმირი კეთილია, უთუოდ გადა-გვარჩენს“, — დაასკვნა ბიკუნიამა და გარდასწყვიტა ახლავე, შუალამისას, მიეწერა მისთვის წერილი, თორებ ხვალ ვეღარ მოიცლიდა, რადგანაც იღრიანად გაზეთების გასაყიდად უნ-და გაქცეულიყო.

ადგა ლოგინიდგანა, მიეიღა მაგიდასთანა და დაუწყო ძე-ბნა წუმწუმასა... ჯიბეში ყარანდაში ეცულებოდა, იმედი ჰქონ-და, ქალალდაც იპოვნიდა საღმე. კონკერტსა და მარკასაც ხვალ იყიდიდა.

რამდენისამე წამის შემდეგ ტროშეა იჯდა მაგიდასთანა-

და სწერდა... თმები ჩამოვალოდა, სიცივისგან ხელები უკან-  
კალებდა, მაგრამ ის ამაზედ არა სწუხდა...

გამოსახული  
გამოსახული

— „პველა-  
ფერს მივწერ...  
უკელაფერს...  
ბიძაზედაც, რო-  
მელიც მოკვდა,  
იმასაც, რომ-  
რა ვცივა ხოლ-  
მე, იმასაც, რომ  
ბიცოლა ერთ-  
თავად სჯირის..  
სიმშილზედაც,  
სიმშილზედაც...  
ციქნების შესა-  
ხებაც... პველა-  
ფერს ალალ მარ-  
თლად მივწერ“.

მეორე დღეს,  
ქუჩაში დგომის  
დროს, ტროშ-  
კას მხოლოდ ის-  
ლა ახსოვდა, რომ  
მისს ჯიბეში ძეირფასი წერილი იდო. აქამდისაც ჩააგდებდა  
ფოსტის ყუთში, თუ სკოდნოდა, როგორ დაეწერა აღრესი  
კონვერტზედა, მაგრამ არ იცოდა. ახსოვს, სოფელში მმბობდ-  
ნენ ხოლმე: ბატონი ზამთარში მოსეულეში სცხოვრობსო და  
ტროშკამაც დააწერა კონვერტზედ:



R.T.

R. T. 1890

„შოსტოვს,

ბატონს ვლადიმირ თეოდორისს“.

მაგრამ გული ეუბნებოდა, ადრესს კიდევ რაღაცა უნდა

დაემატოს, რომ წერილი უთუოდ მიუვიდესო. გარდასწყვიტა ტროშეამი ამიტომ, შეპკითხებოდა ეისმე.

გაფაციცებული უყურებდა გამელელ-გამომვლელებს ტროშეა ტ არჩევდა, რომელი უფრო კეთილი იყო მათგანა, რომ დაპლაპარაკებოდა. ქუჩაში ჯარიგით მიღი-მოდიოდა ხალხი, ზოგი სამხედრო სამსახურისა, ზოგი სამოქალაქო; ბლომად ირეოდნენ ქალბატონები, მაგრამ ყველანი უცნობნი იყვნენ, სასტიკის გამომეტყველებისა, ყველა სადღაც მიეჩქარებოდა. ვერ გაეძერნა ტროშეას დაპლაპარაკებოდა ვისმე, ეშინოდა მისულიყო რომელიმე უცნობ კაცთანა...

— აბა, ვანიჩა, ვაქეს, ზაშა ერზნა?

ბიჭიკო შეკრთა. მის წინ იდგა ის სათვალებიანი ბატონი, რომელიც ყოველ დღე გაზეთს ყიდულობდა მისგან.

— გახლავს; მოგარომევთ ახლავ!

„ამასა ვეკოთხავ“, — გარდასწყვიტა ტროშეამ გაზეთის ამოღების დროსა.

— ახლა ცოტა არ იყოს თბილა, არა ძმაო! — გამოელა-ჰარავა ბატონი, — მალე გაზაფხულიც გვერწვევა.

— ბატონო... მე თქვენთვის რაღაცა უნდა შეკოთხნა...

— აბა, რა?

— არ ვიცი, როგორ გავუგზავნო წერილი ვლადიმირ თეოდორიჩისა?

— ვისა?

— ჩვენი სოფლის ბატონსა... აი, წერილიცა... აქ მე ყველაფერსა ვწერ... სიმშილზედაც... ციკნებზედაცა...

— რომელ ციკნებზედა?

— ჩვენებზედა... დედასა და პაპას საჭმელად ალარა აქვთ-რა. ამასა ვწერ ვლადიმირ თეოდორიჩისა...

— საღა სცხოვრობს შენი ვლადიმირ თეოდორიჩი?

— მოსკოვში.

— რომელ ქუჩაზედ?

— არ ვიცი.

— მეც არ ვიცი... როგორ გავუგზავნოთ მაშა?.. ეს არ მიუვა, ნამდვილი აღრესის ცოდნა საჭიროა.

და ბატონი გზას გაუდგა. მაგრამ მალე ტროშეა ისევდა—  
ეწია და დუწყო ლაპარაკი:

— ბატონი! მოითმინეთ!.. წერილი ნახეთ! იქნება დედა-  
შეკვდება... აქ სულ სწერია, ყველაფერი აღალ-მართლადა სწე-  
რია.

და ტროშეამ ცრემლები გადმოყარა.

ბატონი შედგა.

— განიჩეა, შენ, მგონი იყადა ხარ, ჩემო კარგო?.. ან და,  
დიდი რამ უბედურება გწვევია?.. წამო ჩემთანა, ყველაფერი  
კარგად მიამბე!

სათვალებიანი მწერალი იყო, თანამშრომელი დიდი გაზე-  
თისა.

გაიგო თუ არა ტროშეას მწუხარება, გარდასწყვიტა მა-  
შინვე ეშველა როგორმე მისთვის, მაგრამ იღრესი ვლადიმირ-  
თელდორიჩისა არ იყოდა და კერ უთხრა, როგორ გაეგზავნა  
წერილი.

ტროშეა უიმედობამ შეიპყრო.

— ნუ სწუხარ, ძმაო,—უთხრა მწერალმა.—შენი წერი-  
ლი მე მოყიდე და ჩენ მოგიხერხებთ რასმე... იქნება უბა-  
ტონოთაც გაკეთდეს საქმე...

მწერალმა ტროშეას წერილი გამოართო, სამაგიეროდ მი-  
სკა ფული და ასწავლა, როგორ გაეგზავნა პაპასთვის სო-  
ფელში.

— მისწერე მას, რომ არ გაყიდოს უკანასკნელი კი-  
კანი...

სამის დღის შემდეგ გაზეოში დაიბეჭდა პატარა თხუზუ-  
ლება სათაურით: „წერილი პატონს“. დამწერი უამბობდა სა-  
ზოგადოებასა, თუ როგორ გაიცნო მეგაზეთე, რომელიც ტი-  
როდა ქუჩაში, რადგან არ იყოდა, დიდს ქალაქში გასაბზავნს  
წერილზედ იღრესი როგორ დაწერა. სწერდა ამასთანავე ყვე-  
ლიფერს, რაც გაევო ბიჭისაგან. თხუზულების ბოლოში იყო  
დაბეჭდილი ტროშეას წერილიც, რომელშიაც იგი ყველაფერს  
„აღალ-მართლადა“ სწერდა.

გაზეთებში რომ წერილი წაიკითხეს, ბევრმა ფანაგრანტობა გამოუტადა ტროშეას. მრავალი შეწირულება მოუვიდა რედაქციას პატარა ბიჭისა და ბერეზოვის დამშეულ გლეხებისათვის გადასაცემად. შეწირულებებით ბერეზოვში გამართეს უფეხო სასადილო და გმირ ბიჭიელს პაპას უკანასკნელ ციკ-ნის გაყიდვა აღარ მოუხდა.

ჭიჭიკო.





## ალექსისთვის სიცოცხლე.

თარგმანი.

(გაგრძელება).

— აბა, ახლა-კი დროა გზას გავუდგეთ! — წამოდგა ბოლოს „ქომავა“.— რაღამდენი დავუჩრჩა? — მიუბრუნდა „დაფლეთილსა“ და თავისთვის საჩქაროდ ჩამოსთვალა: ლუდი — ამდენი, ბულყი, კარაქი იმდენი.. ფეხები.. სულ ერთი შილანგი; სამი ადგილიც თეატრში... სკარცვამენ სწორედ ის ოხრები! ხუმრიბაა, ნახევარ-ნახევარ პენსი თითოზე სულ ქანდარაში!.. ხვალ დილით საუზმე...

— რა ვუყოთ, შენკა! დღეს რომ გადაუდოთ დროს გატარება, ვინ იცის. როდის-ლა გველირსება! გადასწყვეიტა „დაფლეთილმა“.

— მართალი ხარ! — კვერი დაუკრა უფროსში ბიჭმა. — ნავთ-სადგურზედ ერთი შევიბარი მყავს სანახავი. იქიდან

თეატრში წავიდეთ. წავიდეთ, „ბურძგლა“, “წავიდეთ, „და ფლეთილო!“

— ნაეთ-საღვურზედ და იქიდან თეატრში? ნაეთ-სადგური მარჯვნივ არის, თეატრი-კი მარცხნივ,—შემნიშნა „ბურძგლამ“. მე კიდევ დავიღალე იმდენი ხეტიალითა. თქვენ წადით, სადაც გინდათ, მე-კი პატარას კიდევ დავისვენებ. მერე თეატრთან დაგიყდით. ჩემი წილი ფული მე დამიტოვეთ.

— კარგი.

გადუთვალეს „დაფლეთილმა“ და „ბურძგლამ“ შილი-ნგზედ ცოტა ნაკლები და წავიდნენ.

როგორც-კი მოშორილნენ თვალიდგან, „ბურძგლამ“ მაშინვე მახლობლად რკინის გზისაკენ გასწია. იცოდა, რომ იქ ქუჩის ბიჭები ფულის ამაშეს“ იყვნენ მიჩვეულები და ქაცეც არა ერთხელ გაპირებია ამხანაგებს, როცა-კი უამათოდ ფულს იშოვნიდა სიღმე.

ერთი სათის შემდეგ ნახევარ შილინგი მიაჭილოტ. დანარჩენი ფული-კი, ქვეა იხმარა, შეინახა.

თეატრში წასასვლელიად საძყოფი იღარა ჰქონდა. „ბურძგლამ“ სულ ქალაქ გარეთ გასწიო იმ ყრუ ქუჩისკენ, სადაც ბებერი ბორე სცხოვრიობდა, მაგრამ სიბნელით ისარგებლა და ჰერმინეფლად გაეპარა.

იმავე ქუჩის ბოლოში, თითქმის მინდვრის პირად, ერთს პატარა სახლში, ან უკედ ქოხში, სცხოვრიობდა მოხუცი კართვიდი, რომელიც ხანდახან პურს აქმევდა ხოლმე.

მივიდა „ბურძგლა“, გაჩერდა და ყოუშიანი დაიწყო, ვითომ შესვლას ვერა ჰბედავს.

— შემოდი, — უთხრა ლიასახლისმა. „ბურძგლა“ მაშინვე მხიარულად შეიკრა, ცეცხლა-პირას, აგურის იატაკზედ გამორკიმა.

— დღეს სულ არა მიქამია-რა, — წარმოსთქვა „ბურძგლამ“ წუწუნითა და საცოდავად მიაპყრო მოხუცს თავისი ლურჯა თეალები.

— უი, ჩემ თავს!.. საცოდავო!.. — შეიბრალა კარმოდიმ,

ამინდო ქვაბიდგან სამი მოხარშული კართოფილი უდიშმინებები ტანა მოხვერას.

„ბურძგლას“ იღბალზედ კარმოდის ვილაც ახალგაზრდა მეზობელი ქალი დოლინგი ჰყავდა სტუმრად. მოხუცებული ქალს მდიდრად მიაჩნდა და ძუნწად; ამიტომ სიამოვნებით წასჩვლეტდა ხოლმე კარმოდისა და სიძუნწეს უკიეინებდა ორი მეზობელი-ქალი, რაც უნდა მევობრულად სცხოვრობდნენ, ხომ მაინც მედამ ერთმანერთის კილვაში არიან!

მოხუცმა ბიჭს კართოფილი მიუტანა. სტუმარმა შემხედა, ზიზღით მხრები აიწია...

— მშიერ ბავშვს ცივი კართოფილი! — წაიბურტყუნა თითქმის ხმა-ზალლა, იმ ანგარიშით, რომ კარმოდის ვაევონა. მერე-კი მალლა დაუშატა:

— მოიცა, „ბურძგლა“, ერთ ნაკერ პურს მაინც მოვიტან.

მეზობელი გარეთ გავიდა. ბიჭმა ოთახს დაუტრიალა თვალები.

ოთახს ის დიდი ხანია იკნობდა: საქმიოდ ხალვათს, ხა-კმაოდ ჭიუჭიანს შეუ კედელში დიდი ბუხარი ჰქონდა შესა-ვალ კარების პირდაპირ დაყოლებული. გარდი-გარდმო ქანდა-რა, ქანდარაზედ ქამები ისხინენ. სიღვანლაც ნებვის სუნი მოდიოდა. კარმოდის ცხენი ჰყავთა, ურეში ჰქონდა გამართუ-ლი, მ-ჯამაგირეს ქირაზედ დაჭყავდა.

ეს ცველაფერი იცა- „ბურძგლაში“. ის, მავიდა და საში სკამიც... საწოლიც... სეჭიოლთან კუთხეში გოდორი სდგას თი-ვით, სადაც ქათმები სდებენ კვერცხებსა...

ისიც არ გამოეპარა „ბურძგლას“, რომ გოდორში კვი-რცხი იდო და სკამის ქვეშ იდგა თავ-დახურული დოქი, სა-ბურავზედ დამხობილის ჭიქით...

— ეს ლუდია! — მიშვედა „ბურძგლა“. განა არა, მეზო-ბლები შექეიფიანებულები მეტენნენ!

და ისეთნაირად მიაჩერდა დოქსა, რომ დიასახლისშა უნებურად შენიშვნა.

— ის, შე ეშვაკო! — წარმოსთქვა მან ცოტა არ წყობი გაჯავრებითაც და თანაგრძნობითაც: — კარგი, მოტისავ! რომელიც

აღლო დოქი, დაუსხა ლუდი და ბავშვს მიაწოდა. იმანაც ერთბაშიც გადაპყრა, მაგრამ გაითცა ძალიანა, რომ მეორე კიდევ მიიღო.

იმ დროს მეზობელი ქალიც დაბრუნდა და კარაჯ წასმული ნაკერი პური მოუტანა. პური „ბურძგლას“ ხელში მისცა და დიდ-სულოვნობით თავ-გამოიდებულმა დამამცირებელის თვალით გადაჭედა დიასახლისსა, მაგრამ რომ ჯდებოდა, შეამჩნია, რომ „ბურძგლას“ ჯიბიდგან ბულვის ნაკერს ამოყვო თავი.

— ეს რა არის? — შესძიხა მეზობელმა, — ჩეენ-კი გვარწმუნებს, დილიდგან არა მიკამია-რაო!

— ეს არის ეხლა სადგურზედ მომცა ერთმა კაცმა, და-ატანა წარბ-შეუხრელიად „ბურძგლამ“, ქუჩაში კამისა-კი მეშინოდა, არავინ არ წამართვას-მეთქი.

— განა არა... .

— „დაფულეთილი“ და „ხტუნია“ სადღა არიან? — შეეკითხა დიასახლისი.

— დღეს ნაეთსაფეხურთანა ემლეროდით, — ის იყო დაიწყობიქმა, მაგრამ მაშინვე შედგა. — თითქმის სულ არა მოუკითრა. ერთი გროვი ძლიერ გადმოგვიგდო ვიღაცა მაღლიანმა.

— დიახაც! — შენიშნა მეზობელმა. — „დაფულეთილი“ მამალიერია ყველა!.. უკაცრავად, დიასახლისო, საშინლადა მწყურიან. გადასწვდა დოქს, დალია ერთი კიქა, დაასხა მეორე და მიაწოდა „ბურძგლას“.

— აღარ უნდა, აღარ! ორი კიქა კიდევაც დავალევინე! — დაეჩქარა მეზობლის შეჩერებას მოხუცებული, მაგრამ... გვიან-ღა იყო. „ბურძგლამ“ ლუდი კიდევაც გადახუხა.

— ერთი პხედავთ ამ ცულლუტსა! — შენიშნა კარმოდიმ, ჩამოართვა სტუმარს დოქი და სკამს იქით გადადგა.

„ბურძგლა“ ეითომ კართოფილს სჭმლა, ის-კი არა უბეში აიტენა. მოტანა მერე კუთხიდგან სკამი, დადგა ბუხრის

წინ და მოიკალათა ზედ იმ განუჩახვით, რომ ჩემად გაძმო-  
ელო ლუდის დოქი და იმ დროს, როდესაც მეზობლები მუ-  
საიფში იქმნებოდნენ გაბმულნი, ერთი ჰიქის გამოცლა კიდევ  
მოესწრო. დიასახლისში ეს ვერ დაინახა, სტუმარშა-კი დაინახა,  
მაგრამ გაჩუქრდა.

— ახა ბებერზე! — გაიციქრა გულში, — ნუ ჭუნწობს!

— „დაფლეთილს“-კი ანგარიში უნდა მოვთხოვო! — სოქვა  
სტუმარშა. — ამას წინად ბავშვი მივეცი დასაქერადა. ახლაც  
მყავდა ძუძუ გაშვებული, კბილები ამოსდიოდა. მთელი დღე-  
ები ცოდიანივით ღრიალებდა... სხვაგან ვიყავი წასასვლელი,  
არ ვიცოდი ბავშვი ვისოდის დამეტოვებინა?.. შევხედე — „და-  
ფლეთილი“ სდგას. დავუძინე: — დამიჭირე-მეთქი, ეხლავ და-  
ვბრუნდები! „ბავშვი იყვანა... და წავიდა და წავიდა!“. ლმე-  
რთო, რაც მე შიში გამოვიარე! საღამოზედ „ხტუნიამ“ ძრიეს  
მომგვარი. ეტყობოდა, იმ საძაგლოს თვითონ ველარ მოებედნა.  
მერე, წარმოიდგინეთ: კაბის ნაკეცებში ბავშვს ცერცეის მარ-  
ცვალი ვუპოვნე!.. უნდოდა ბავშვი დამხრინეალიყო, რა რა  
იყო?

— ტყუილია! — თავ-გამოდებით წაესარჩილა „ბურძგლა.“  
— „დაფლეთილს“ ისე უცვარს ბავშვები, ისე, რომ!.. ყოველ-  
თვის უალერსებს ხოლმე. იტყვის ხოლმე: ჩემი ბეჭნიერებაა  
ბავშვის ხელში ქერაო! თქვენს ბავშვს იმან უკანასკნელი  
ფულით რძე და მყინვარი შაქარი უყიდა...

— იმან? იმან უყიდა რძე?

— მყინვარი შაქარიც.. სამტრედესთანაც მიიყვანა.

— სამტრედესთან? ეგ რაღა სისულელეა?

— „დაფლეთილი“ ამბობს, ბავშვებს ძალიან უყვართ  
მტრედების ცქერა, როცა ისინი კენკავენ, დაფრინავენ და  
სხ. თქვენმა ბავშვმაც ბერი იცინა... მე თვითონა ვნიხე!  
შაქრის ბულკი-კი მე მივეცი.. რომ მცოდნოდა, რომ თქვენ  
ეს არ მოგეწონებოდათ, მე თვითონ შევქამდი!

— შენ რაც გინდა, ისა სოქვი, მაგრამ ბავშვს-კი იმას  
აღარა დროს აღარ ვანდობ.

— ძალიან დააშევებთ. იმასაც ძალიან უყვარს ბავშვები და ბავშვებსაც ძალიან უყვართ. ბევრიც იტირა, პიონერებისგან ბავშვებს აღარიავინ აძლევს.

— ვიცი, იტირებდა, რომ როცა ბიჭვის დაკერას სოხოვდნენ, თან კიდევ მის უმდინენ რასმე და აქმევდნენ ხოლმე.

— օհս.. Ծայ Շայ Են ու Կարևո!

— შენ ესა სოჭიკ, სად არის ახლოა?

— ତ୍ରୈଶ୍ଵର ଶ୍ରୀ, — ମହାଦେବ, ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରୀ, ପାତ୍ରମନ୍ତ୍ରୀ, ପାତ୍ରମନ୍ତ୍ରୀ, ପାତ୍ରମନ୍ତ୍ରୀ,

ეტუობოდა ლუდმა და მეგობრის გამოსაზრისების ცრის  
ალელყდებამ შოსაზრება დაუკარგა.

— ତେବେରୁକିମା? — ଘୋଷନ୍ତିରୁଥିଲେ ଦୂରାଶାଖଳିରେ ଏବଂ ବ୍ୟକ୍ତିଗତରେ...  
ମେହିରୀ, ପ୍ରାଚୀନ ଜୀବ ମିଳିପା?

ენაზედ იქმინა „პურძელიამ“! უთხრას, რომ ამხანაგება თავის ხელობით იშოვეს სათვატრო ფული—მაშინ ხომ სამუდამოდ დაქარვავდნენ იმ უპირავენავ შებრალებას.

— ხიდზედ ორი შილონგი ვიპოვნეთ, — გამოიხსნა თავი „ბურძებულამ“.

— მერე, შენ რატომ თან არ წაგიყვანეს?

— იშათ მე ნახევარ შილინგი მომკეთს, მაგრამ დამკარგა.

— დაგევარგა? — ჩაეკითხა უნდობლად კარმოდი .. ბო-  
რჯოს-კი მიეცით ღამის გასათევი? დღეს მეუპნებოდა, რომ სა-  
ხლში აღარ შევიწყებთ, თუ თური ლამისა არ მიეცით.

— ახიც იქნება! — დაუშარა მეზობელმა. — ვინც თვატრებში დაეხეტება და ლამის გასათვევს-კი არ იძლევა, იმას...

— მერქ-კი კეთილს ხალხს მიადგებიან კარზედ პურის-  
თვისა, რომლებსაც იქნება თავის თავიც გასჭირებიათ! — დუ-  
დუნებდა კარმოლი... — და შენც სტყუი, რომ ნახევარ ში-  
ლინგი დაჭკარდე!

მოხარული იქნებოდა „ბურგდლა“, რომ დედამიწა გაძსვდო-  
მოდა და თან ჩაეტანა. თან შიშია აიტანა, ვაითუ ამ გადაკულმა-  
მეზობლებში ჯიბეები დამისხრიკონო. არ იცოდა, როგორ  
წასულიყო.

უკებ ქუჩიდგან ხშაურობა და გინება ზემოი გადასახლებული ქალი გარეთ გვევრდა.

კარმორის მოჯამავირე მოდიოდა თურმე სახლში, ნა-  
ლეინებმა ურემი კუთხეს გამოსდო, ხელნა გასტუხა და ვაღა-  
ცა წავქუი.

„ბურძგლამ“ დრო იგდო ხელთა, ეზოს ჰიშერიდგან მე-  
ორე ქუჩაში გაძერა. მაგრამ გაქცევის დროს გოდრიდგან  
კვერცხის აწაპნა მაინც მოასწრო.

„ბურძგლა“ ქუჩებში დაეხეტებოდა, მაგრამ მოწყალების  
თხოვნას ველარა ჰბედავდა, იმდენი უბედურობა დატუდა თავს  
მებივითა: კიდევ წააგო, თეატრშიაც ველარ მოჭხვდა, რაც  
საოქმელი არ იყო, ისიც დაროშა.

ბოლოს თერთმეტი საათიც დაპყრო. იცოდა „ბურძგლამ“, „  
რომ ამხანაგები თეატრიდგან დაბრუნებისას უთუოდ ხიდზედ  
გამოივლიდნენ. გაჩერდა ხიდზედა და დაუწყო მათ ლოდინი  
მოაჯირზედ მიუუდებულმა.

ქუჩაში მუშები ბლობად მიდი-მოდიოდნენ; ქარხნების  
შეხუთულს ჰაერს გამოჰქცეოდნენ, სუფთა ჰაერზედ გამოსუ-  
ლიყვნენ, თავიანთს მყრალ სორიებში შესვლას მაინც და მა-  
ინც არა ჩქარობდნენ. ყველა გარეთ იჩეოდა: უადგილო მო-  
სამსახურნი და ოთას ნაირი საეჭვო პირები, —ერთი სიტყვით,  
ქალაქის ყველა ის ნაძირალი მცხოვრები, რომლებიც მაშინ  
რჩეობდნენ გარეთ გამოსვლას, როდესაც დანარჩენი მცხოვრებ-  
ლები ტკბილს ძილს ეპირებიან. არავინ არ ამჩნევდა პატარა,  
დალლილს ბიჭს.

აი, ვიღებიც მოდიან. იმათში „ქომგა“ და „დაფლეთი-  
ლი“ ურევიან. „ბურძგლა“ იმათთან თავ-ჩაკიდული და მეტად  
დარცხვენილი მიეიდა, როგორც დამნაშავე.

— „ბურძგლა“!

— რატომ თეატრში არ მოხვედი?

გაჩუმებული „ბურძგლა“ მიწას ჩასწერებოდა.

— ჰა? —ჩასკიებოდნენ ამხანაგები.



— დავკარგე! — როგორც იყო, საკოდავად წამოიქნებელი  
ბოლოს.

— დავკარგე?.. სტურ!

— უბანში, ვიცი, მოგხედებათ... იქ ფეხი არ შედგათ.

— წარმოსთქვა, როგორც იყო, „ბურძგლამ“.

— რათაო? დაგვაბეჭდე?

— ბორჯს უთხარი, რომ ფული გვაქვს? — ერთხმიც წამოი-  
ძახეს „დაფლეთილმა“ და „ქომაგამ“ — აი, შე!..

და ის იყო სწვლა კისერში ამხანაგს „ქომაგა“.

— არ დამიბეჭდებიხართ, არა, ტუილია! — ყვიროდა ტი-  
რილით „ბურძგლა“. — ნახევარ-შილინგი გამიეარდა... ვიღაც  
კაცმა იღო და გაიქა.

მორბილებულმა „ქომაგამ“ საბრალოს ხელი გაუშვა.

— შაშ, მოპყე დალაგებით, როგორ იყო ყველაფერი? —  
დაუწყო სასტიკად გამოკითხვა „დაფლეთილმა“.

— თეატრისთვის ფული აღარა მქონდა. ივლეჭი და მო-  
ხუც კარმოდის სანახავად წავედი... იქ შეჩვენებული დოლინ-  
გი დამხედა...

— მერე, იმათ უთხარი?

— ლეისა სვამდნენ და მეც დამალევინეს... ბლომად მო-  
მივიდა! თავში შემიტკინდა და თეატრზედ რალაცა წამოეროშე.  
ძალიან გაჯავრდნენ. უცემელია ბორჯს ეტუვიან... ქუჩაში რომ  
ხმაურობა არ ატეხილიყო, — კარმოდის მოჯამაგირე ნას-  
ვამი დაბრუნდა, ურემი დაქმტვრევოდა, — არ ვიცი, როგორ გა-  
მოვალწევდი.

ამას რომ უამბობდა „ბურძგლა“, ისე სტიროდა, რომ  
„დაფლეთილს“ შეეცოდა კიდეც.

— კარგი, — უთხრა ბოლოს, — უბედური ხარ და მეტი  
არაფერი!

და სიბრალულით ლოცვები მოუწმინდა თავის კაბის კალ-  
თითა. „ბურძგლამ“ ამ დროს უბიდვინ კვერცხი გამოილო, „და-  
ფლეთილს“ უჩვენა.

— ვინ მოგცა?



— კარმოდის მოვპარე, როცა მოვდიოდი.

„დაფულეთილს“ იღიარა უპასუხნია-რა, კვერცხსაგაუტეხია-  
ქვაზედ თავი და დაუწყო ხერება.

„დაფულეთილს“ კვერცხი ძალიან უყვარდა. „ბურძგლამაც  
იცოდა ესა და როცა-კი სადმე მოახელებდა, სწორედ იმის  
სიამოვნებას ფიქრობდა ხოლმე.

— მაშ, ღამე სად უნდა გავათიოთ? — იკითხა „ქომაგამ“.

— სადა-და, ღუდხანის თბილ კედელთანა, — საჩქაროდ  
შესთავაზია „ბურძგლამ“. ამხანაგებს რომ უცდიდა, იმას ფიქ-  
რობდა სული, ღამის გასათევი ადგილი სად ერჩია მათთვის.

„ქომაგა“ წინ წავიდა. იმას გაძყვნენ უკან უდარდელი ბურ-  
ძგლა“ და „დაფულეთილი“, რომელიც სანუკვარი კვერცხით  
სტკებოდა.

#### 6. ყიფიანისა.

(დასასრული იქნება)






## ციგის ქვეუნების ამბები

დედამიწაზედ ყველგან ერთნაირად არა თბილია. გაფონი-ლი გექნებათ, რომ რუსეთში უფრო ცივა, ვიღრე ჩვენში. ინდოეთში-კი ჩვენს ქვეყანაზედ უფრო ცხელია. არის ისეთი ქვეუნებიც, სადაც მუდამ ზამთარია, დედამიწა მუდამ თოვლით არის დაფარული. ისეთი ქვეუნებიც არის, სადაც მუდამ ზატ-ხულია, ხები მწვანით შემოსილია. იქაურს მცხოვრებლებს თოვლზედ არც-კი აქვთ წარმოდგენა. მე მინდა გაგაცნოთ ქვეუნები, სადაც ისე ცივა, რომ ამ ქვეუნებს სიცივის საშეფერ დაარქევს. აქ ვერა ხარობს ვერც ხე და ვერც ბალახი, დედა-მიწა დაფარულია თოვლით, რომელიც არას დროს არა დნება. ისეთი ყინვები იყოს, რომ ჩვენ ვერც-კი წარმოვიდგენთ. არაყი, რაც ყინულათ იქცევა ხოლმე; ხორცი გაქვავებულია, ასე რომ უულითაც ძნელია მისი დაჭრა. ადამიანი რომ ჰაუნთქავს, ორთქლი მაშინვე იყინება და თოვლათ იქცევა, ასე რომ, გეგონებათ, კაცს პირიდგინ თოვლი ამოსდისო. აქ არის ერთი ზღვა, რომელსაც ყინულიანს ანუ მყინვარს ზღვას ეძახიან და მართლაც ნაპირები ამ ზღვას რამდენსამე ასს ვერს-

ზედ გაყინული აქვს, შიგ შუაგულ ზღვაში-კი უზარმაზარი ყინულის მოები და კუნძულები.

ფუტურისტები  
პარალელისტები



ზოგჯერ ამ კუნძულებს რამდენიმე ათასი ვერსი სიგრძე აქვთ. ზოგიერთს ყინულს კავკასიოს ოდენა აღვალი უჭირავს. სისქე-კი 10 საეკნი აქვს. ხშირად მოხდება, რომ კურაობის დროს მოები ერთმანეთს დაეჯახებიან. საშინელი სანახავია მაშინ ზღვა! ისეთის სიმძლავრით ეხეთქებიან ერთმანეთს ტალღები, რომ ზღვა ნაპირებში აღარ ეტევა. თან ისეთი გრძვინვა ისმის, რომ ათასი ზარბაზანი ვერ შეეძრება. ცუდი დღე დაადგება გემს, თუ შემთხვევით ახლო ფას: ნაფოტიკით ათა-მაშებს. ამიტომ ვამოცდილი მეზღვაური უნდა იყოს, რომ ამ ზღვაზედ მოგზაურობა გაბედოს. გემი რომ წამწყდეს ყინულის მთას, ლუკმა-ლუკმად იქცევა.


ზაფხული ამ ქვეყნებში რამდენიმე კვირაა, ზამთარი-კი ძალიან ხანგრძლივია. მზე ისე მაღლა არასოდეს არა სდგას, როგორც ჩვენში; რამდენსამე საათს გამოჩნდება და მერმე ის-

ევ მიმიშალება. დღე თანდათანა კლებულობს. ღამეზე ჭარულობს. დადგება ხოლმე ისეთი დროც, როცა მზე რამდენიმე თვეს სულ აღარა სჩანს, ყველაფერი წყვდიადით არის მოული.

მაშინ შუაგულ სიცივის სამეფოში ექვსი თვე ღამეა. ძნელი ასატანია ადამიანისათვის ისეთი გაუთენებელი ღამე,— გული უღონდება, ხასიათი უფუჭდება. ბევრი ვერ იტანს ამ სიბნელესა და ავადმყოფდება. წარმოიდგინეთ, ძალებიც კი ვერ იტანენ ისეთ მდგომარეობასა და იხოცებიან. როცა მერე ძლიერ მოელება ბოლო ამ სიბნელესა და გათენდება. ადამიანის სიხარულს საზღვარი იღარა აქვს.

ექვსის თვის შემდეგ ძლიერ გამოიჩინდება მზე რამდენიმე წამით, მერმე რამდენისამე საათით. ბოლოს დღე გაუთანასწორდება ღამეს. ამის შემდეგ ღამე კლებულობს, დღე კი მატულობს. დადგება ბოლოს ისეთი დროც, როცა მზე სრულიად აღარ ჩადის და 24 საათს კაზედა ბრუნავს. არის ამ ქვეყანაში ისეთი ადგილებიც, სადაც მზე ექვს თვეს არ ჩადის. ამ ნაირად შუაგულ სიცივის სამეფოში ნახევარი წელიწადი დღეა, ნახევარი ღამე.


სად არის სიცივის სამეფო? სადაც უნდა ვიყოთ, შუა დღისა, ჩრდილი მუდამ ერთ მხარეს არის, იმ მხარეს, საითაც შეუა დღისას ჩრდილია მიმართული, ჰქეიან ჩრდილოეთი. აი ამ ჩრდილოეთისაკენ არის ეს ცივი ქვეყნები. რამდენიმე ათასი ვერსი უნდა გავიაროთ, რომ მივიდეთ ამ ადგილისა. როგორუა ვსთქვი, ეს ადგილები მუდამ თოვლით არის დაფარული,



მაგრამ ზოგიერთი ცხოველი და ადამიანი მაინც ახერხებენ აქ ცხოვრებასა.


მცნარეულობა აქ სრულიად არ არის. არც ხე, არც ბალახი აქ ვერა ხარობს. სამაგიეროდ ცხოველები ნოიპოვებიან. აქ სცხოვრობს მყინვარს ზღვაში ყველაზედ უფრო დიდი ცხოველი დედამიწაზედ ვეშაპი. ამის გარდა აქვე შეხვდებით თეთრს დათვეს, მელას, სელაპსა და ლომთევზას.

ყველაზედ უფრო საშიში ნადირია აბათში თეოტორიადადაც  
ვი. ჩრდილოეთის თეთრი დათვი ჩვენებურს დათვზედ შეკვეთ  
დიდია. ტანზედ სქელი გრძელი ბეწვი აქვს, სტოვრობს ყია  
ნულზედ. არც სიცივისა, არც წყლისა არ ეშინიან. რაც



უნდა შორს წახვიდეთ ცივს ქვეყნებში, თეთრს დათვს უთუოდ  
შეპავდებით. ნადირობს მეტ წილად სელაპებზედა და ლომ-  
თვეზაზედა არც თევზაობას ერიდება, რაღაც წყალში ისე  
ჰერძნობს თავსა, როგორც ხმელეთზედ. მონადირეებს ხშირად  
უნახავთ ნაპირიდვან ოც ვერსზედ წაშოსული დათვი, რომე-  
ლიც ზღვაში დასდევდა სელაპებს დასაჭერათ. ცურა ობ

დროს მარტო თავი უჩანს წყალში; თაოებს ნიჩების მაგიე-  
რადა ხმარობს. ასე დასდევს ზღვაში დათვი სელაპებს რამე-  
ლენსამე საათს. მაგრამ სელაპები მეტად ფრთხილები არიან,  
განსაკუთრებით ნაპირზედ; ძილიც ფრთხილი იციან: ყოველს  
ათ წამში ერთხელ უთუოდ იღვიძებენ და გარშემო იხედებიან,  
მტრი ხომ არსაიღვან გვეპარებათ. მაინც ახერხებს დათვი ამ  
ფრთხილ ნადირთან მიჰარვასა. ჯერ მუცლით მიხოხავს; მაგ-  
რამ შეინძრევა თუ არა სელაპი, მაშინვე გაინაბება, თოვლს  
მიეკვრება. მიუახლოვდება რამდენისამე ნაბიჯით თუ არა, მა-  
შინვე ისკუპებს და თავზე დაახტება. მაგრამ ხშირად სელაპი  
აღრევე იგებს მტრის მიახლოვებასა და ასწრობს წყალში და-  
მალვასა, დათვი-კი პირდალებული რჩება.



Յարհալոյ, Յոեցրեծեծուլո նօդուրո ճառոց, Յացրամ ե՛մո-  
հած մանը և կամ առաջարկութեան մուպրելո յիշուս. Մյածրաւութեամբ  
տահի ու տյտորո ճառոց. Տյլաձյեծո յոնուլեց ալար ցամունան  
գուսաւութեծուլութ; Եղանու լրմած ոմալցեա նլաշո. Համենմու-  
լութե իշենո ճառունա Մերիւթեծուլո; յարո տարալս սպնելութ,  
տուզու այրու, յոնուլո ոյքես յայշ սրբաւթեա. Տօմիւնու գուսաւու  
թաս պայունացուրո ազութեա: Մոմու ճա մորութեաւ. յնուսցու  
ցանցեթ, տոյ սօդու աելու-մաելու Մերտեցութ ցըմու դցաս. համ-  
դյենսամբ զերսից յըպրա և պայմա և պայմանու տոյնո. Սպանու ցարմեմո ցըմ-  
սա ճա սկզնութեա տացուսու և պայմանու համ ոցուս տատեթի. տոյ  
մուսելոյ, առ ուժութեա առու պացաս, առու տամայու: Քարմութ-  
ցութ, բամերեթսաւ յու և պամա. առու տոյ ճասածրանուսու իշենո  
ճառոց յուրալութեանուսուտու. յրտելու յրտմա մոնագուրցի համար-  
նութ ճառոց մույլու. մուլութ համ ցայքուրց, մոց յրտու մար-  
տու մզուլու բոլուս նացլուչո սնածեց, համելու պալուսաւ ցա-  
ճայցու. Սեպա ճառութեա մուլու լարուցու յիշունդա. Ցիցրու-  
ճառոց աճամունսաւ յրտիս. յրտելու յրտու մենցայուրո ցըմու հա-  
մութուրդա. Սպիծած ճանախա, համ մուսպի մուցու ճառոց. տան  
արացուրո ուրալու առա յիշունդա. Մենցայուրո մանունց ցըմուսպի  
ցայէյս, մացրամ ճառուու մաց իշամս սյան ճայցութեա. Մենցայու-  
րու համ սեպու մուսածրութեծուլութ Մենցութու յրտու իշամս, ճա-  
ռուու ցայէրդեծուդա. ցայէյսութ մենցայուրո ճա ուսու սյան  
ճայցութեանուդա. Տայնու ուսու մուսածրութեանու մուս յիշենաս. ուսու ցայէյսութուն  
մենցայուրմա մանուն ցայցայցու ճառու: չըր յիշու, մերը  
Տալուր, Տուրու եալուատու. աման լուր առ ույս ցամուտու  
տուտյուն ճառոց ճա Մեսիրո. մացրամ սայմուլու համ յերա նախ-  
հա, ցածրանու ճա սպիրու իշարո ցամուտու. ու ույս ճառու Յո-  
րու սննդա ճայցուլու, համ պայունութեա ցամուտու մենցայուրցին մենցա-  
յուրուս ամենացը տուտյուն ճա մույլու ճառոց. յուտու ուսու  
տու Մերտեցուպ, համ ճառու աճամունս մուրուաւնու. յրտելու  
ցըմուն սագունութեանու գորու ճառոց մուցուդա. մուսամսածրութեա յար-  
սացուլու երլու ճա հացուդա մորս, համ ցայցու. մացրամ ճառոց.

სრულიად არ შეკრთა, მიპვარდა მოსამსახურებსა, დაფლუპტერი და წილო. ცვირილზედ ამხანაგები გამოცვიდნენ, დაგრძელებული ველარა უშეელეს-რა, დათვი უკვე შორს იყო. ცველი მოგზაურები და მოგზაურებები მოგვიანებით დაგრძელდნენ.



რები ალიარებენ ერთხმად, რომ დათვი მუდამ თავგანწირულიად იკავს შეილებსო. ერთხელ თურმე მონადირეები მიდიოდნენ ძალებით. წინ შეეფეთათ მუ დათვი თავის პატარა ბელით. რადგანაც ბელი პატარა იყო და გაქცევა არ შეეძლო, დედამაც თავი აღარ დაანება შეილისა და არ გაიქცა. შედგა უკანა ფეხებზედა და მორთო საშინელი ლრიალი. წინა თათებით-კი მტერს იგერებდა. ვერც ერთმა ძალამა ვერ მიჰბედა ახლო. ასე იბრძოდა დიდ-ხანს. ბოლოს მონადირეებმა ტყვიით მოულეს ბოლო ამ ომს.

თეთრ დათვს გარდა ცივს ქვეყანაში სცხოვრობს აგრეთვე მელი. ისიც დათვივით თეთრია და სქელი ბეჭვით არის შემოსილი. სცხოვრობს ნალირობით. მაგრამ იმდენი ძალა არა აქვს, რომ სელაპებზედ ინადიროს. ის ლა დარჩენია, დათვს სდიოს, რომ ძვლები მაინც პხვდეს წილად. ლოკოკინებსაც კარგად შეექცევა, თუ იშოვნა. მოგზაურები, რომელნიც ცივ

ქვეყნების ასაწერად მიღიან, ამბობენ, რომ მელიასგან მოსკვენება არა აქვთ. იმდენად შეუპოვრები არიან, რომ ძირის დროს ქოხში შედიან და მეზღვაურებს ფეხიდგან წალებს ჰელიან.


ის, რას გვიამბობს ერთი მოგზაური: „აქაური მელა მაიმუნზედ უფრო ცბიერია. დღე და ღამ გაბეზრებულები ვართ იმათგანა. შემოიპარებიან კარავში, იტაცებენ ტომრებს, წალებს, დანა-ჩანგლებსაც-კი არა სტოვებენ. ისე თსტატურად იღებდნენ ხოლმე კასრიდგან ხორცა, რომ პირველად ვერც-კი ვამჩნევდით. როცა რაიმე ნადირს ვატუავებდით კარში, მელიები ხელიდგან ვვტაცებდნენ ხოლმე ხორცა, ასე რომ დანით ვხოცავდით ბოლოს. საღაც უნდა შეგვენახა სურსათი, მაინც იპოვნიდნენ და გაიტაცებდნენ. ღამე, ძილის დროს, გვხდიდნენ ნადირის ტყავებს, რომლებიც ზედ გვეხურა ხოლმე, იპარავდნენ ქუდებს, ხელთათმებს. სურსათზედ ზედა ვწვებოდით ბოლოს, რომ დაგვეცარა როგორმე ამ ქუდბაცაცებისაგან. მაგრამ ისე თსტატურად გვაცლიდნენ ქვეშიდამა, რომ ჩვენ ვერაცერს ვერ ვიგებდით. ისე მოგვაბეზრებს ბოლოს თავი, რომ დავუწყეთ უწყალოდ ხოცა. დავუგდებდით ხორცა და, როცა მოგვიახლოვდებოდნენ, კეტით ვხოცავდით. ორს დღეში მოვკალით ასი მელა. სიმშილი აბედვინებს ამ ნადირს ასეთს შეუპოვრობასა.

როგორც ზემოთაცა ვთქვი, სიციეის სამეფოში არის ზღვა, რომელსაც ყინულიანს ანუ მყინვარს ზღვას ეძახიან. ის, ამ ზღვაში სკანდალის ვეშაპი. სიგრძე ვეშაპს 10 საეკი აქვს, სიმაღლე—3 საეკი. ვეშაპი იწონის ხუთი ათასამდე ფუთს, ესე იგი იმდენს, რამდენსაც—200 ჩვენებური ხარი. პირველ შეხედვით ადამიანს თევზი ევონება. მაგრამ, თუ შევადარებთ ერთმანეთს თევზია და ვეშაპს, დავრწმუნდებით, რომ დიდი განსხვავებაა მათ შორის. თევზი პყრის ქვირითს; ქვირითიდგან იჩქებიან ლიფსიტები, ანუ პატარა თევზები. ვეშაპს-კი უჩნდება ცოცხალი შეილი, როგორც ძროხას, ცხენს, აღამიანს. ვეშაპი თავისს შეილებს ძუძუს აწოვებს, თევზი-კი არა. თევზი

ჰსუნთქავს ლაყუჩებითა და უწყლოდ ერთს წუთს არ შეუძლიან სიცოცხლე. ვეშაპი ჰსუნთქავს ფილტვებით, არამედ ადამიანი და უპატიოდ გაძლება არ შეუძლიან. თევზს ცივი სისხლი აქვს, ვეშაპს თბილი. ვეშაპი რომ გავსჭრათ, დავინახავთ, რომ შიგ ისრევეა მოწყობილი, როგორც ადამიანი. მაშასაღამე, ვეშაპი თევზი არ არის. შესახედავად უშნოა. უზარმაზარი, სამი საუენის სიგრძე თავი აბია; პირიც ისეთი დიდი აქვს, რომ შიგ თუნდა ვეება ნავი ჩაეტევა. მაგრამ ყელი-კლიირ ვიწრო აქვს: კაცის მუშტი ძლიერს ჩაეტევა. იმიტომ ვეშაპს შეუძლიან ყლაპოს მარტო პატარა თევზები, ლოკოკინები, კიბორჩხალები. მისი საჭმელიც ეს არის. ზღვაში, საცა ვეშაპი სკხოვრობს, ისეთი ცხოველები ბევრია. როცა მოჰვივა, დაალებს პირსა და დაცურავს ასე, სანამ პირი ლოკოკინებითა და თევზებით არ ავესება. როცა შეატყობს, რომ შეტი იღიარ ეტვეა, მაშინვე მოპეუმავს პირსა.

პირიც ოსტატურადა აქვს მოწყობილი: სისახე და ღრძილებში იკრული აქვს ზევიდგან ქვემოდ პტყელი ფირფიტები, რომლებსაც ვეშაპის ულვაშებს ეძახიან. თითო ვეშაპს ოთხასამდე ასეთი ულვაში ექნება. პირს რომ მოპეუმავს, მისი ულვაშები დამწყვდეულ თევზებისათვის ნამდვილს ფაცერს წარმოადგენს. წყალი ამ ფაცერში თავისუფლად გადის; საწყალი თევზები-კი მახეში არიან მომწყვდეულები. თითო ჯერზედ ვეშაპს სამი ფუთი თევზი უნდება. წარმოიდგინეთ ახლა, დღეში რამდენი ათასი თევზი და ლოკოკინა გამოესალმება წუთი-სოფელსა. ვეშაპს ნესტოები ზემოდამა აქვს, რომ შიგ წყალი არ ჩაუვიდეს და სუნთქვა არ დაუშალოს. ნესტოებიდგან ჰაერთან ერთად ამოადის ორთქლი, რომელიც სიციეისაგან წყლის ცვარებათ იქცევა ხოლმე და შორიდგან შადრევანს მოგაონებთ. ვეშაპს ძელები ცოტა აქვს. მოელი ეს უზარმაზარი ცხოველი მარტო ხორცი და ქონია. ენაც ქონათ აქვს გადაქცეული და ქვემო ყბაზედ მიკრული. ძე ვეშაპს ორი ძემუ აქვს, რომლებშიაც ბლობმად უდგია მსუქანი და გემრიელი რე. ვეშაპს 10 თვის შემდეგ ებადება შეილი, რომელსაც ორი საუენი სიგრძე

აქვს მაშინვე. დედა აწოვებს შეილს ერთის წლის განძავლობაში. თითო ჯერზედ სამი კასრი რადე არა ჰყოფნის მუშაობას ვეშაპს. დედას ძალიან უყვარს თავისი შეილი და სულ გვერდითა შეავს.



ვეშაპები ზღვაში სკოვრობენ, მეტ-წილად უფრო წყველ-წყველადა. ხანდახან ერთად 10-12 ვეშაპი შეიკრიბება და მოშვებიან ნავარდობასა. რამდენსამე ვერსხედ ისმის შაშინ ტალღების ხმა და მშუოლი. მართალია, ვეშაპი დიდია ძალიანა, მაგრამ საათში მანც 30 ვერსხედ მეტს ვერ მიღის. წყალს ქვეშ დარჩენა მოელს საათს შეუძლიან; მეტი-კი არა, რადგანც პატი არა ყოფნის. ადამიანი ძალიან ემტერება ვეშაპს.

ციფრ ქვეყნებში გემები უმეტესად ვეშაპებზედ დანაღირობენ. თითო ვეშაპი სულ ცოტა 8,000 მანეთს იძლევა. ძალიან ფასობს ვეშაპის ულვაშები, რომლისაგანაც კარსერებს და სხვა ნივთებს აკრთებენ. ამას გარდა ვეშაპის ქონსაც ბევრ ნაირად



იყენებენ: აკეთებენ სანთლებს, სწმენდავენ მანქანებს, დასხურებს ისე გულმოდგინედ ნაღირობენ, ამ უწყინარს ცხოველზედაც, რომ რამდენისამე ხნის შემდეგ მოლად გაქრება ვეშაპის ხე-ნება მყინვარს ზღვაში.

ვეშაპზედ ნაღირობას დიდი მოხერხება და კოდნა უნდა. შეამჩნევენ თუ არა გემიდგან ვეშაპს, მაშინვე წყალში ნავს ჩაუშვებენ. ნავში ჩაჯდება რამდენიმე მონაღირე. მონადირეს თანა აქვს საგანგებო შუბები და ჭვილთები ანუ ჩანგლები. ეს არის მაგარ რკინისაგან გაკეთებული მწვერი სამთითები. ფურზედ სამთითს მობმული აქვს მსხვილი კანაფის თოკი, რო-მლის სიგრძეც 1000 წყრთა მაინც იქნება. ნავი ფრთხილად ეპარება ვეშაპს. ნაერი ცხვირზედ სდგას მონაღირე და ხელში ჭვილთი უჭირავს. მიახლოვებისათანავე, რაც ძალი და ლონე აქვს, ესვრის ვეშაპსა და ნაერი მაშინვე უკან იხევს, რომ და-პრილმა ვეშაპშა ნაეს ბოლო არ მოახველოს და ლუკმა-ლუ-კმად არ აქციოს. დაპრილი ვეშაპი მაშინვე ზღვაში ჩაიყურ-ჭუმელავებს დასამალიად. თან საშინელის სისწრაფით მიათ-რევს თოკს, რომელზედაც ჭვილთია მიბმული. ისე ჩქარა მი-ექანება ვეშაპი ამ დროს ზღვის ძირისკენა, და ისე ეხახუნება თოკი ნაერა და ხურდება, რომ ცეცხლი უჩნდება. მო-ნაღირებიც მაშინვე წყალს ასხამენ, რომ არ დაიწვას. მაგრამ ვეშაპი წყალს ქვეშ ერთ საათზედ მეტს ვერ დარჩება უჰაეროდ. ხელ-ახლა ამოდის მაღლია მძიმე ქშენით. ზღვა გარშემო სის-ხლის ფრად იღებება. მაშინვე მეორე ჭვილთს მიაყოლებენ. ვეშაპი ხელ-ახლა იმალება, მაგრამ უფრო ცოტა ხნით. ლონე თანდათან ელევა, სუსტდება. მეტე მონაღირები შუბებით დაერევიან და ისე უღებენ ბოლოს. მოკლულს ვეშაპს გემთან მიათრევენ და მაგრა აბამენ, რომ წყალმა არ წაილოს. ახლა სხვა სამუშაო ეწყებათ. გადაიქმენ მონაღირები ძეელს ტანი-სამოსს, ჩიოუმენ ლურსმებიანს წიაღებს, რომ ფეხი არ დაუცუ-რდეთ და გადადიან ვეშაპის ზურგზედ სამუშაოდა. ჯერ მო-სოლიან ვეება ბელტებათ ქონს, გადააღნობენ და ჩაასხამენ

ପ୍ରେସରପ୍ଲେସି. ମେରମେ ମନ୍ଦିରଗାନ ତାଙ୍କୁ ଦା ଏମନାପଲିଗାନ ଉତ୍ସବରେ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ  
ରାମା ମନ୍ଦିରରେବାନ, ଦାନାରାହିନୀ ପ୍ରେଶର୍ ଟ୍ୱେନ୍ସିଙ୍କୁ ଦା ଅଜନ୍ତା ଦା  
ଟ୍ୱେନ୍ ଶ୍ରୀରାମପ୍ରେଶର୍ ସାମର୍ମେଲାଙ୍କ.

ନନ୍ଦାକୁମାର ବ୍ୟାକାରୀ.

(ଭାବାବିନ୍ଦୁରେଣ୍ଟ ରଖିଥିବା).





# გმილი-პოეტი

(გაგრძელება)

## III

ეოდორე კერნერი ჩატვირთვის რაზმში, რომელ-  
საც მიიღორი ლიუტელი უფროსობდა. რა-  
ზმი იყო შემდგარი ახალგაზრდებისაგან,  
რომლებსაც ჩვეულებრივის უზრუნველ ცხო-  
ვრებისათვის თავი დაენებებინათ და სამშო-  
ბლოს განთავისუფლების საქმეს შესდგომო-  
ლნენ.



მარტში ეს რაზმი საბრძოლველად უკვე გამზადებუ-  
ლი იყო. ყველაზედ მხიარულად იყო კერნერი, რომელიც  
არც სიცივეს, არც სიცხეს და არც არავითარს გაქირვებას არ  
იძინებდა. უფროსების კოველგვარს განკარგულებას საკურვე-

ლის სისწრაფითა და სინაშდევილით ასრულებდა მუდამ. კერძოული შემთხვევა მაღლე ყველა ამხანაგების სიყვარული დაიმსახურა; რამდენად კუთხია უფრო ახლო ექნობოდნენ თეოდორეს პატიოსანს პიროვნებასა, იმდენად უფრო მეტად იყვარებდნენ. თავისი საყვარელი საგანი—პოეზია—მეომარ კერძებს არც პროლის დროს აეიწყდებოდა. რამ წამსაც-კი თავისუფალს დროს ჩაიგდებდა, მაშინვე თავისს პატარა უბის წიგნს მიუჯდებოდა და სწერდა ლექს, რომელიც მეორე დღეს უკვე მთელში რაზმა იცოდა ხოლმე.

რადგან აუ ლიუტურულების მეომრებს „შავი ტანისამოსი ეცვათ, „შავი მონადირეები“ დაარქვეს და დაავალეს, მტრის ჯარს უკანიდამ მოჰქცეოდნენ და რაც შეიძლება მეტად შეეწუხებინათ. „შავი მონადირეები“ თავისს მოვალეობას მშვენიერად ასრულებდნენ. საფრანგეთის ჯარი მართლაც ისე ძალიან შეწუხდა, რომ ბოლოს გარდასწყვიტეს, მათის თარეშობისათვის უხასაურიდ ბოლო მოელოთ. თავის გარდასწყვეტილების აღსასრულებლად მაღლე კარგი შემთხვევაც მიეცათ.

თიბათვეში მოწინაღმდევებმა ორის კურრით ზავი ჩამოაგდეს. ერთი პირობათავენი ამ ზავისა იმაში მდგომარეობდა, რომ გერმანიის ჯარებს სხვის სამცლობელოებისთვის თავი უნდა დაეწერებინათ და პრუსიის საზღვაოს გადასულიყვნენ. მაიორი ლიუტურული ამ დადგენილებამ ძალიან უხერხულს მდგომარეობაში ჩააგდო. ის მაშინ თავისის ჯარით იმყოფებოდა საქსონიაში, რომელსაც საფრანგეთის მხარე ეკირა. მას აშორებდა პრუსიიდამ ნაწილი იმ ჯარისა, რომელსაც გენერალი არ-რიგი უფროსობდა.

თავისუფლად გასვლის ნებართვის ასაღებად მაიორმა ერთი თავისი მეომართავენი საჩქაროდ დრენდენში გაგზავნა; თვითონ-კი რაზმით საზღვარისავენ გაემართა.

რაზმი ლეიპციგის მახლობლად, კიტცენში, დადგა და გაგზავნილს მეომარს ცდა დაუწყო. ლამდებოდა. მეომრებმა ცეცხლი დაანთეს და საქმლის ხარშვა დაიწყეს. რადგან აუ მოწინაღმდევეთა შორის დროებით ზავი იყო ჩამოგდებული,

უკელა დაიმედებული იყო, რომ ღამეს შშვიდობიანად გაატარებდნენ. ლაპარაკი, უზრუნველი სიცილი და გაუთავებელი სიმღერები ისმოდა. რამდენიმე კაცი გარს შეტოტტუმიდა შაიორ ლიუტკოვს, რომელიც თავის წარსულ ცხოვრებიდან სხვა და სხვა ეპიზოდებს უამბობდა.

— უკაცრავად,—მოისმა ერთბაშად ხმა ერთის ახალგაზრდა მეომრისა, რომელიც კარგა ხანი სიკრცეში რაღაცას გასცემროდა.—რაღაცა მოსხანს! მგონი, მტერია!

ყველამ იქითკენ გაიხედა, საითაც ახალგაზრდა მეომრიუკვენებდა.

— მტერია! მტრის ცხენოსანი ჯარია, — სთქვა მაიორმა გარდაწყვეტით, — მაგრამ, ყმაშვილებო, ჩვენ ხომ ზაფი ჩამოვავდეთ? საშიში არა მოგველის-რა, — დაუმატა ლიმილით მაიორმა.

მტერი-კი ამ დროს „შავს მონალირეებს“ ნახვაზ კერძოს მანძილზედ მიუახლოედა და იქრიშისთვის მზადება დაიწყო.

ლიუტკოვმა დაიბარა კერნერი, რომელიც რამდენისამე ხნის წინად ლიუტკოვის ადიუტანტად ერთხმად იქმნა არჩეული და სიხოვა, საჭის გამოსარკვევად მტერთან წასულიყო.

კერნერმა ყველა თავისი იარაღი მოიხსნა, რაღაცაც პარლამენტორის მოვალეობა ამას თხოვულობდა, და ორის ცხენოსანის თანხლებით მტრისკენ გაემართა. მოძებნა შან გენერალი არრიგი და ამისთანა მოქმედების მიზეზის ახსნა სიხოვა. კერნერმა მოაგონა, რომ მოწინააღმდეგებს შორის ორის კვირით ზაფი იყო ჩამოგდებული.

— ზაფი ყველასთვის არსებობს, თქვენთვის-კი არა, — უპასუხა მკაფედ პარლამენტორს საფრანგეთის გენერალმა.

რაკი ნახა კერნერმა, რომ საქმე ცუდად იყო, მოაბრუნა ცხენი, ჰერა დეზი და თავისიანებისკენ გაჰკურცხლა, მიგრამ ერთმა ფრანგთავანმა ხმლის დაკვრა მიინც მოასწრო. კერნერს გონება დაეკარგა, მაგრამ ერთგული ცხენი მტრის ჯარს გამოუსხლტა და თავისი მხედარი აუკილებელს სიკვდილს გადაარჩინა.

უკვე ღამე იყო, როდესაც კერნერი გონი მოვიდა. პა-

დრი მოვარე სასიამოვნოდ ანათებდა ტყის პატარა შეცვალები მდელოს, სადაც ცხენს კერნერი მიეყვანა. რამდენმატე წულმარია გაიარა, მაგრამ კერნერი მაინც გონის ვერ მოვიდა და ვერ მოისაზრა, სად იყო, ან რა დაემართა. მხოლოდ საშინელმა ტკიუილებმა მოაგონა ყველაფერი.

შორიდგან მას ბრძოლის ხმა, ყრუ გუგუნი და ქრიაშული ესმოდა; თოფის სროლი, მებრძოლთა ყვირილი, დაჭრილთა ოხერა და კენესა რაღაცა შესაზარს შთაბეჭდილების ახდენდა გასხვდ.

— კერნერ, შენა ხარ? — მოესმა მას ვილაცის ჩურჩული. თეოდორემ ხმაზედ იყნო თავისი რეგობარი ბერნეჭორსტი.

— ჩადლობა ღმერთს, რომ შენ მაინც დააღწიე თავი. იქ ეხლა საშინელი ბრძოლაა, — ამბობდა აღელვებული ბერნეჭორსტი. — მტერი გარს შემოვეერტყა და მვონია, ყველას ამოველეტას გვიპირებს. მერე, ეს არის ზავი?

— ჩაითარი გადარჩა? — ჰეკითხა კერნერმა.

— როგორლაც მტრის რაზმი გაარღვია და გაიქცა, თორემ არც იმას დაინდობდნენ. შენ როგორ-ლა მოახერხე ტყეში თავის შეფარება? რა ამბავია შენს თავსა? ეგრე გადავითრებული რათა ხარ? ღმერთო ჩემთ, მოლად სისხლში სცურავ! დაჭრილი ხარ? — წამოიძახა ბერნეჭორსტმა.

— თავში, — უპასუხა წყნარად კერნერმა. ბერნეჭორსტმა დაიჩინა და კრილობა გაუსინჯა. კრილობას შეხვევა უნდოდა და ბერნეჭორსტმაც ბერი ალარ იფიქრა: ხელად პერანგი გაიძრო და პატარ-პატარა ნაჭრებად დახია.

ის იყო შეუხეია კრილობა, რომ მათ მახლობლად ტენების თქარა-თქური მოისმა; რამდენისამე წუთის შემდეგ თვით ცენტოსნებიც გამოჩნდნენ.

საშინელი წუთი დადგა. კერნერსა და ბერნეჭორსტს დატყვევება და იქნება სიკვდილიც მოელოდათ. გონიერება და ჩვეულებრივი სულის სიმშეიდე კერნერმა აქაც არ დაკარგდა. უეზზედ წამოდგა და მაღალის, მრისხანე ხმით შეპყირა:

— მეოთხო ეს კადრონო, წინ!

ცხენოსნები შედგნენ. ისინი არ მოელოდნენ კრიტიკაში აღიაგის მტერი იქნებოდა ჩასაფრებული. შიშმა შეიძყორო ცუდია ნოსნები... მოელანდათ, თითქოს წყვდიადით მოუსულ ტყიდან მწერივად მტრის რაზმი გამოდიოდა. ფიცხლავ ცხენები შიატრიილებს და გაპკურცხლებს...

მაგრამ ბუნების ეს ძალ-დატანება კერნერს ძვირად დაუჯდა: გულ-შეწუხებული მაშინვე მიწაზედ დაეცა.

ბერნეჭორსტი მიჰვარდა კერნერს, მაგრამ ამ დროს ხელ-მეორედ ვიღიაცის ხმა მოისმა. ბერნეჭორსტმა ავადმყოფი ხშირ ტუჩქნართან მიიყვანა და ოვითონ-კი მიიმალა...

გათენებისას კერნერი მახლობელ სოფლის ორმა გლეხშა მოძებნა და ფრთხილად სოფელში მიიყვანეს. ბერნეჭორსტს ცველაფერი ეამბნა მათვეის და ესწავლებინა ის ადგილი, სადაც მისი დაჭრილი ამხანაგი იყო დამალული.

**არჩილ ჯაჯანაშვილი.**

(დასახული იქნება).





## საფრანგეთის ისტორიიდან.

(შემდეგი)

### II

ჩეენ შხოლოდ მე-XVIII საუკუნეში საფრანგეთში არსებულ უმთავრესს გარდასახადებს შევეხებით. ესაც საკმაოდ დაგვანახვებს ძევლის წეს-წყობილების მექანიზმსა და ამ წეს-წყობილების უსამართლობას. უმთავრესს გარდასახადებს შეადგენდა: „კაილი,“ — ჩეენის დროის მიწის გარდასახადს უდრიდა. ეს გარდასახადი შხოლოდ უძრავ მიწის საკუთრებაზედ იყო დაწესებული და საფრანგეთის მცხოვრებთა შხოლოდ ერთს მესამედს ნაწილს აწვა კისერზედ. თავად-აზნაურობა, სამღედელოება და სახელმწიფო მოხელეები განთავისუფლებულნი იყვნენ ამ გარდასახადისაგან; სრული უფლება ჰქონდათ მათ გაეთავისუფლებინათ ამ გარდასახადისაგან თავიანთი მიწის მოჯარენიც. აქედან ნათლადა სჩანს, რომ ხსენებული გარდა სახადი შხოლოდ ღარიბს და ტანჯულს მიწის მუშას აწვა მოელი თავისი სიმძიმით. გარდასახადის რაოდენობა ყოველ-წლივ ილინუსებოდა მოელის საფრანგეთისათვის და პროვინციებზედ განაწილდებოდა „სამეფო საბჭოს“ მიერ. არც ერთმა გარდასახადის გამღებმა არ იკოდა არასოდეს, რა გარდამხდებოდა მომავალს წელს; მას არა ეყითხებოდა-რა. წარმოიდგი-

ნეთ, შმართველობას არც მისის აზრის გაგება ჰსურტა, არც მისის თანხმობისა. ეს იყო უმთავრესი მიზეზი უზომოდ დიდ გარდასახადებისა.

პროფესიონალის გამგე მთელს ჯამს გარდასახადებისას ანაწილებდა მრევლებზედ და აქ კიდევ გარდასახადების ამკრეფი ანაწილებდა თავის შეჩითა: რომელს მოსახლეს რამდენი უნდა გარდავხდომოდა.

საყურადღებოა აქ ის გარემოებაცა, რომ გარდასახადების ამკრეფი მე-XVIII საუკუნეში სახელმწიფოს მოხელე-კი არ იყო, როგორც დღეს არის; თვითეული მოსახლე რიგ-რიგით ასრულებდა ამ მოვალეობასა და უფრო ხშირად გარდასახადების ამკრეფად სრულიად უვიცი, მოუხეშავი გლეხი კაცი იყო. გარდა ამისა, მდგომარეობა რთულდებოდა იმითაც, რომ არავითარი ლონისძიება არ არსებობდა მიწის რიგიანად შესაფასებლად. ხარჯის ამკრეფი პასუხის მგებელი იყო მთავრობის წინაშე გარდამხდელთა დაუდევრობისათვის და თვის სარჩო-საბადებლიდან უნდა შეევსო ფული. ამის გამო იძულებული იყო, რაც შეიძლება მეტი გარდასახადი შეეწერა მდიდარ გლეხებისათვის. ვამბობთ—გლეხებისათვისაც იმიტომ, რომ თუნდ სურეილიც პქონებოდა ხარჯის ამკრეფს, არც შეეძლო და ურც გაქმნების მდიდარ ბურეულებისათვის დაევალებინა გარდასახადების გაღება, რადგანაც პროფესიონალის შმართველი ყოველთვის გაათავისუფლებდა მათ ამ გარდასახადისგან. შეძლებულ გლეხებს შემდეგ უფრო მეტს გარდასახადს ხარჯის ამკრეფთა პირადი მტრები იხდიდნენ: უზომოდ ბეჭრს აწერდნენ და საქმეს უჭირებდნენ ამათ, თუმცა კარგად იცოდნენ წინალვე, რომ თვითონაც ამავე გაქირვებულს მდგომარეობაში ჩაცვიდებოდნენ, როდესაც რომელიმე მათგანი ხარჯის ამკრეფად გახდებოდა.

ხარჯის ამკრეფისათვის ყოველთვის ხელ-საყრელი იყო გლეხების ნივთიერ ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობა, რადგანაც ამკრეფი ყოველთვის მზად იყო მოემატებინა გარდასახადი ხვედრი, თუ-კი დაინახავდა, რომ გლეხ-კაცის მდგომარეობა ოდნავაც.

არის შეიცვალა და ეკონომიკურად წელში გამაგრძა, ამის გა-  
მო გლეხებიც თავის მხრით იმას სცდილობდნენ მუდამ, რომ  
თავიანთი თავი იმაზედ ღარიბად დაესახათ, ვიდრე იყვნენ და  
ამ მიზნის მისაღწევად ყოველს ღონისძიებას ხმარობდნენ: სცდილობდნენ რაც შეიძლება ნაკლები შესავალი ეწვენებინათ;  
მიწაზედ ცოტა საქონელს ამუშავებდნენ, მამულს სრულიად  
არ აპარივებდნენ და სხვა. ეჭვი არ არის, ყოველისფერს ამას  
სამწუხარო ნაყოფი მოჰქონდა, მამული თან-ღა-თან ფუჭელებო-  
და. მეორე კიდევ ის იყო ცუდი, რომ გლეხები სცდილობ-  
დნენ გადაეხადათ გადასახადი მხოლოდ მაშინ, თუ მათზედ ძალის  
იხმარდნენ და ამ შემთხვევაშიც მხოლოდ ნაწილ-ნაწილად.  
ამათ უნდოდათ ხარჯის ამკრეფლებისათვის ჩაენერგოთ სიძულ-  
ვილი თავისს მოვალეობისადმი. იმ დროის მწერალი ბუაუი-  
ლებრი სოფელში გარდასახადების აკრეფის საოცარს სურათს  
გვიხატავს. ხარჯის ამკრეფნი, —ამბობს იგი, —ხშირად რამ-  
დენიმე ერთად შეიკრიბებიან სადმე დუქანში და აქ ანაწილე-  
ბენ გადასახადს, თვითოულს გლეხს რამდენი უნდა შეახვე-  
დორონ. ხშირად რამდენიმე თვე გადის, სანამ შეთანხმდებიან.  
შეთანხმების შემდეგ ერთად შეუდგებიან გარდასახადების აკრე-  
ფას, რადგანაც ეშინიანთ გალანძლვისა და ხალხის მიერ შე-  
ურაცხყოფისა. როდესაც შეიცი ან რვა ხარჯის ამკრეფი ქუჩის  
ერთს მხარეს მოდიან და იწვევენ მცხოვრებლების ზიზღს, წა-  
რსულის წლის მეხარჯები მოდიან ქუჩის მეორის მხრით და  
როგორც პირველნი ლანძლვისა და გათათხვის გარდა ვერას  
ნახულობენ და კრეფვენ. პროვინციის მმართველს აწუხებს  
გარდასახადების შემოუსავლობა და აგზავნის სოფელში მან-  
დატურებს და სარანგებს. გლეხები მანდატურებს ქრისტის აძლე-  
ვენ და სარანგებს ათრობენ იმ პირობით, რომ ზარალი არა-  
ვის მისცენ და შინ შშეიღობით დაბრუნდნენ. სარანგები  
ხშირად ექცევერ და ხუთჯერ ბრუნდებიან სოფელში და ერთი  
ხუთად მეტს ზარალს აძლევენ, მაგრამ გლეხები მაინც თავი-  
დგან იცილებენ გარდასახადების ერთად გარდახდასა და დანარჩე-  
ნი გარდასახადის გალებას სხვა დროსა ჰპირდებიან. მაგრამ



მთართველის მოთმინებას ბოლო ეღება და მთელი რაზმი მი-  
დის სოფელში მეშვიდეჯერ, რომ უფრო მხნედ გრძელებულია  
მანდატურები და საჩანგები დაუყოვნებლივ ართმევენ მცხოვ-  
რებლებს საქონელია და ინუნშიაც არ მოსდით, თუ გასტუ-  
მჩებული ჰქონდა ამა თუ იმ გლეხს გარდასახადი, რაუგანაც  
გლეხები პირ-მტკიცედ მოქმედებენ. მაშინ იწყებოდა წივილი  
და კივილი. საქონელი ლარიბ და შშიერ მიწად-მომქმედ გლე-  
ხობისა იყიდება და თუ ამით გარდასახადები არ დაიფარა,  
ჰყიდიან გლეხ-კაცის ლარიბს მთართულობას: ჰესნიან კარებებ-  
სა და ფანჯრებსაც-კი და უყიდიან. მანდატურები არც გლეხის  
ქოხის დანგრევის ერიდებიან და ხშირად ქოხსაც არღვევენ,  
რომ აფური და ხეტყეც გაუყიდონ. ამის შემდეგ ირგვლივ  
მხოლოდ კივილი და მწარე ტირილი-ლა ისმოდა ხოლმე გლე-  
ხებისა.

მაგრამ არც ეს ზომები ჰშველოდა გარდასახადების აკრე-  
ფის საქმეს; გარდასახადის სრულად აღება მაინც შეუძლებელი  
იყო. ხშირად მთელი ქონება ეყიდებოდა გლეხსა, ოჯახი  
გაუნადგურდებოდა, მაგრამ გარდასახადი მაინც გადაუზდელი  
რჩებოდა. მაშინ აპატიმრებდნენ ხარჯის ამჟრეფთ და ქალაქის  
სატუსალოში იგზავნიდნენ სადაც მათის შენახვის ფულს სო-  
ფელი იხდიდა. რამდენისამე თვის შემდეგ, მართალია, ხარჯის  
ამჟრეფთ საპატიმროდგან ანთავისუფლებდნენ, მაგრამ ისინი  
უკვე მთლად გალატაკებულები ბრუნდებოდნენ შინ, რადგა-  
ნაც შეუტანელს გარდასახადებს მთლად მათ ქონებიდამ აესებ-  
დნენ.

მომავალს წელს ჯერი ახლა სხვებზედ მიღებოდა და მა-  
თაც ისრევე უნდა გამოევლოთ ათას გვარი გასაკირი. ამგვა-  
რად,—ამბობს ტიურგო,—ცოტად თუ ბევრად შეძლებული  
ოჯახები ნელ-ნელა ლატაკებოდნენ და მათხოვერებადა ხდე-  
ბოდნენ.

გამოდიოდა რაღაც მოჯადოებული წრე ჯერ ერთი  
იმისთვის, რომ ისედაც დიდი გარდასახადი თან-და-თან  
უფრო იზრდებოდა სხვა-და-სხვა ხარჯის გადასა-

ხდის დროსა და მეორეც იმისათვის, რომ გარდასხვა  
დი ცუდად იყო განაწილებული. ბოლოს ისიც პუნდა იყო მას  
დავივიწყოთ,—რომ გარდასახადს ყოველთვის თან ახლდა ქონე-  
ბის ოღწერა და მისი გასყიდვა, რაც ძარცვა-გლეჯას უდრიდა  
პირდაპირ. ხშირად ამ რიგად გლეხს სრულიად ეკარგებოდა  
ქონება. ერთი სიტყვით, ამგვარი და გარდასახადები ძირს უთხრი-  
და მთლიად ხალხის კუთილ-დღეობასა, ანალეურებდა მიწათ-მო-  
შვედ გლეხების შეურნეობასა და გალატაეკების გზაზედ აყენებდა.  
რიცხვი დროზედ გარდასახადის გამდებთა ყოველ წლივ კლე-  
ბულობდა და მით თან-და-თან მატულობდა რაოდენობა შე-  
უტანელ გარდასახადისა, შემოსავალი ხარჯს ვერ ჰქოარავდა.  
ამგვარ წეს-წყობილებას-კი სახელმწიფო აუკილებლივ რაღაც  
საშინელ ცვლილებისაკენ მიჰყავდა.

მონარქიის უკანასკნელს საუკუნეში ირსებობდა, გარდა  
სახადი „ედი“ ეს გარდასახადი ჭვეინოზედ იყო დადებული იმ  
შემთხვევისთვის, თუ ლვინო წვრილ-წვრილად გაიყიდებოდა.  
მაგრამ გარდასახადი იქმდის დიდი იყო, რომ უდრიდა თვით  
ლვინის ღირებულობის მეოთხე და და ხშირად მესამედს. ხუთი  
ან შვიდი სუ რომ ყოფილიყო თითო ბოთლის ლვინოზე დადე-  
ბული, კიდევ შესაძლებელი იყო გაძლება ამ გარდასახადისა,  
მაგრამ არ კმარობდნენ ამასა და, მაგალითად, ქალაქში ვე-  
სატანს ბაგა სხვას ახდევინებდნენ კიდევ. მითნ წვრილ-წვრი-  
ლად ლვინო მხოლოდ ქალაქში იყიდებოდა. „ედი“ და ქალა-  
ქში შესატანი ბაგი ხშირად ლვინის ფასს ორკეცებდა თით-  
ქმის და ლვინის წვრილ-წვრილად გამჟიღველიც იძულებული  
ხდებოდა ბოთლი ლვინო 20 სუიანი 40 სუთ გაეყიდა. ხში-  
რად-კი უფრო ძვირადაც იყიდებოდა, და აი რისთვის: ლვი-  
ნის ხარჯის ამჟრეფებს ნება ჰქონდათ შეედგინათ ოქმები ლვი-  
ნის უკანონდ გაყიდვის შესახებ. მსაჯულები სავსებით ერწ-  
მუნებოდნენ ამ ოქმებს, ამჟრეფები-კი სკლილობდნენ რაც  
შეიძლება შეტი ოქმები შეედგინათ, რადგანც იმ ჯარიმილ-  
გან, რომელსაც მსაჯულები გადაწვერდნენ ლვინით მოვაჭ-  
რებას, ნაწილი მებაჟებს ეკუთვნოდა. აი, ამიტომაც ლვინის

მება ეკები ყოველ დღე დიღის მუჟაითობით ათვალისწილდებოდნენ ლვინის სარდაფებსა, რომ გაყიდულ ლვინის არათუ დენობა შეემოწმებინათ, დაედასტურებინათ. მაგრამ უსაფურცლო ეჭვს ხშირად რწმენად აქცევებოდნენ და აჯარიმებდნენ ვაჭრებსა, მაგრამ მებაეების სისასტიკე სრულიად ხელს არ უშლიდა ვაჭრების მოხერხებასა და ეშმაკობას და ეს ხშირად ხდება, როდესაც გადასახადი დიდი და აუტანელია. ასრულე სარგებლობდნენ თავისს მდგომარეობით მებაეები სოფლებშიაც: ლვინის გამყიდველებს აღატაკებდნენ და მათს ნიეროერს კეთილდღეობას სრულიად ძირს უთხრიდნენ. ქალაქებში ვაჭრობისა და ცხოვრების ნებასაც აძლევდნენ შხოლოდ ლვინით მოვაჭრეთა და სასაღილოების პატრონთა განსაზღვრულს რიცხვს, მაგრამ იმ პირობით, რომ ლვინო უსათუოდ მებაეებისაგან ეყიდათ. ყველა მებაეები ვაჭრობდნენ ლვინით, რომელსაც მუქთადა ყიდულობდნენ თითქმის მემამულებისაგან და სამჯერ უფრო ხეირად ჰყიდილნენ; ყყიდველი სავსებით მათს ხელში იყო. მასაუკი შედევათ ის მოსდევდა, რომ ლვინოს ქალაქებში გაცილებით მეტი ფასი ედო, ვიდრე მომხმარებლებს შეეძლოთ მიეცათ. მარტო ლვინოზედ არ იყო ქსრეთი დიდი ფასები, თითქმის ყველა სანოვაგე მამასისხლად იყიდებოდა სასტუმროებსა და სამიკიტნოებში, სადაც მუშა ხალხი დადიოდა; მიკიტნები და სასტუმროების პატრონები არა პმალავდნენ და ხმა მალლა მმბობდნენ მუდამ, რომ რასაც ლვინოში აგებდნენ, ის უნდა სხვა სანოვაგეში მოეგოთ. სოფელში ლვინოს მხოლოდ ის სეამდა, ვინც ლვინოს იყენებდა. მგზავრი იძულებული იყო რამდენიმე ათი ვერსი გავვლო, რომ ერთი ჭიქა ლვინო ეშოვნა და წყურფილი მოეკლო.

ლვინის ნამეტანი სიძეირე, როვორც სხვა სანოვაგისაც, აისნებოდა კიდევ ერთი სხვა გარდასახადით, სახელდობრ, საბაერ გარდასახადით. ეხლაც სახელმწიფოების გარშემო საბაერ ჯაჭვია გამშული და ყოველგვარს საქონელზედ, რომელიც ამა თუ იმ სახელმწიფოში შეაქვთ ან იქიდგან გამოაქვთ, გარდასახადია ანუ ბაერი დადებული. ამ გარდასახადებით სახელ-

მწიფო სარგებლობს. მაგრამ სახელმწიფო თუმცა ინგლისკანი ბაჟოებს, მიზნად აქვს არა პირდაპირი შემოსავალი ამ უარღვევას სახადებისა, არამედ გარკვეული ეკონომიკური შედეგი მათი. ეხლაც საზღვარ-გარეთიდგან შემოტანილს საქონელზედ ბაჟია დაწესებული, მაგრამ იმ მიზნით, რომ ამით საქონელი დააძირონ, — რადგანაც საზღვარ-გარეთიდგან იაფად შემოსულს საქონელს ადვილად შეუძლიან ადგილობრივი, ეროვნული საქონელი სრულიად უკან დასწიოს და უცხოეთიდგან შემოსულმა სავაჭრომ ადგილობრივს ვაკარს ყველა მუშრარი წაართვის. სხვა ნაირად რომ ვსოდეთ, ბაჟი ედება უცხო საქონელს ადგილობრივ წარმოებისა და ვაჭრობის დასახმარებლადა და გასამაგრებლად.

ამ რიგად საბაჟოები, რომლებიც ახლა სახელმწიფოების საზღვრებზეა გადატანილი, იმ უროს, რომლის შესახებაც ჩვენა ვაკვს ამ ეამად ლაპარაკი, თვითონ სახელმწიფოში იყო დამართული, პროვინციების საზღვრებზედა და თვითონ ული პროვინცია მეზობლიად მდებარე პროვინციისათვის უკან სახელმწიფოს წარმოადგენდა (გამონაცეს წარმოადგენდნენ მხოლოდ: ნორმანდია. პიკარდია, შამპანი, ბურგონი, ძერუ, ანუ და ძენი; ეს პროვინციები 1664 წლიდგან დაწყებული შეადგენდნენ ერთს ოლქს საზოგადო საბაჟოებით). აი, ამიტომაც საქონლის ერთი პროვინციიდგან მეორე პროვინციაში გადატანის დროს იხდიდნენ ერთი მხრივ გამოსატანს გარდასახადს, მეორე მხრივ შესატანს გარდასახადს, და იმდენჯერ, რამდენს პროვინციასაც გადატარებდნენ საქონელს. გარდასახადებიც საკმაოდ დიდი იყო; ამასთან ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ საბაჟოს მოხელეები თავისს მოვალეობას ძველის წესისამებრ თავნებად ასრულებდნენ, რის მაგალითადაც შემდეგს მათს წეველებას მოვიყენთ: იმის მაგივრად, რომ თვითონ გამოეანგარიშებინათ, თუ რა გარდასახადი გაელო ვაკარს ვაჭრობის დაკვალიად, ეს ვაჟებატონები ვაჭრებსა სოხოვლნენ, რომ აენუსხათ ლიტებულობა და ლიტსებათა კის საქონლისა, აგრეთვე რაოდენობა მათი და წარედგინათ, რომ



ამის შოხედვით შეეწერათ გარდასახალი. მაგრამ, თუ კინ მცირება  
ვაჭარი როგორმე შესცდებოდა, მაშინვე საქონელს წარითევ-  
დნენ და თავს იმითი იმართლებდნენ, ვითომ სურვილი ჰქონ-  
და ვაჭარს მოხელეები მოეტყუებინა. აშეარაა, იმიტომ სჩა-  
დიოდნენ ასრულ, რომ ვაჭრის საქონელი როგორმე ხელთ ეგ-  
დოთ და დაეჭირათ.

ა. მ.





## საქართველო სკოლონ მეფის დროს.

ლუარსაბ პირველის გადაცვალების შემდეგ ქართლში გამეფდა მისი შეილი სკოლონ პირველი (1557წ.). სკოლონი ძალიან მიაგევს მამას თავის მოუხრელობით მტრის წინაშე და დამოუკიდებლობის სიყვარულით. როგორც ლუარსაბ მეფემ, ამანაც მოელი თავის სიცოცხლე მძლავარს მტრებთან ბრძოლაში გაატარა.

გამეფებისათანავე სკოლონი შეუდგა მეტადინეობას, რომ ტფილისი აელო და ამნიორად სრულებით გაედევნა სპარსელები თავის სამეფოთვან. ამ საქმეში მას ძრიელ ებმარებოდა არჩილ მუხრან-ბატონი. 1560წ. სპარსელებმა ქახთის შეტაკების დროს ტყველ ჩაიგდეს არჩილ მუხრან-ბატონი და გაგზანეს სპარსეთს. სკოლონ მეფემ სპარსთა შესამუსრად ამის შემდეგ შემწეობა სთხოვა თავის სიმარტს ქახთის მეფეს ლევანს. ლევანმა შეშველი ჯარი გაუგზანა სკოლონს თავის შეილის გიორგის წინამდლოლობით. სკოლონი ელოდა ციხე-დიდში (ძეგში) ქახთის ჯარს, რომ აქედგან დასცემოდა ტფილისს. ქართველების სამშადისი და განძრიახვა შეუტყობარი არ დარჩა განჯის ბეგლარებებს ზიადოლლის, რომელიც მაშინვე წამოვიდა ტფილისის დასაცველად. ზიად-ოლლი რომ ტფილისს მოვიდა, სკოლონ მეფე და გიორგი ბატონიშვილი ჯერ კიდევ ციხე-დიდში იდგნენ. ქართველებმა რომ გაიგდეს ზიად-ოლლის მოსვლა ტფილისს, შეაჩერეს მისევა და თითონ დაიწყეს გამაგრება. ამის დამნახება ზიად-ოლლიმ გადაწყვიტა თითონ დასხმოდა ქართველებს ციხე-დიდში. სწორედ აღდგომა დამეს სპარსელები გავიდნენ ტფილისითვან და თავს დაეცნენ ციხე-დიდში დაბანაკებულს ქართველებს. მოხდა საშინელი ბრძოლა, რომელშიაც თავგადადებით იბრძოდნენ ქართველები. გამარჯვება უკველად ქართველებს დარჩებოდათ, რომ უცებ არ გავრცელებულიყო ხმა გიორგი ბატონიშვილის მოკვლის შესახებ ბრძოლაში. ქახთის ჯარი ამ ამბის გამო

მეტად შეწუხდა და უკან დაიწია. კახელებს თან მიჰყვნენ  
ქართლელებიც და ამნაირად გამარჯვებულნი დაჩინდნენ სპარსები  
ლები. სკომონ მეუე გამავრდა გორის ციხეში, ხოლო ზიად-  
ოლი დაბრუნდა ტფილისს (1561).

ამ დამარცხებამ გული არ გაუწეხა სკომონ მეფეს და ხე-  
ლი არ ააღებინა ტფილისის დასაცერად მეცადინეობაზე. ასე-  
თი შეუპოვრობა სკომონისა ბევრს არ მოსწონდა და ჰეიცხავ-  
დი იმისთვის, რომ ის არ ემორჩილებოდა სპარსეთის ყაენის ზე-  
ხელმწიფებას. მათ აზრით, საქმარისი იყო სკომონს ეცნო სპარსე-  
თის ზეხელმწიფება, რომ ჩამოვარდნილიყო საქართველოში  
შპერლობიანობა და სპარსთა ჯარი გასულიყო მის არემარით-  
გან. ასე ფიქრობდნენ მომეტებულად ქართლის სამხრეთის ნაწი-  
ლის—სომხით-საბარათიანოს—დიდებულები, რომელნიც ყველა-  
ზე მეტად ზარალობდენ სპარსთა ლაშქრობით ჯერ ლუარსაბ  
მეფის და შემდეგ სკომონ მეფის წინაამდევ. ამ დიდებულებში  
ისარგებლეს იმით, რომ სკომონ მეფის მარა დავითი უქმაყო-  
ფილო იყო ძმისა და ჩააგონეს მას, რომ წასულიყო სპარსეთის,  
გამოეცხადებინა ყაენისთვის ერთგულება და ეთხოვნა ქარ-  
თლის მეფობა სკომონის მაგიერ. დავით ბატონიშვილი დაჭყვა  
ამ რჩევას და წავიდა ყაენთან. ყაენმა სიამოვნებით მიიღო  
დავითი და სცნო ქართლის მეფედ იმ პირობით, რომ გამაპშა-  
ლიანებულიყო. დავითმა ეს მოთხოვნილება შეისრულა და  
ქართლის მეფედ ცნობილი შავთამაზ ყაენისგან წამოვიდა სა-  
ქართველოში სპარსეთის ჯარითურთ ქართლის დასაცერად  
(1566 წ.).

გამაპშალიანებული დავითი მოვიდა ტფილისს და თავის  
თავი გამოაცხა ქართლის მეფედ. ამნაირად სკომონ მეფეს გა-  
უჩნდა მოქიშედ ძმა, რომელსაც მფარველობდა სპარსეთი და  
რომელსაც სცნობდა მეფედ ქართლის ერთი, თუმცა მცირე  
ნაწილი—სომხით-საბარათიანო. სკომონ მეფემ თავისებურის  
შნეობით განაგრძო ბრძოლა სპარსთა ბატონობის წინაამდევ,  
რომლის მცველად ახლა გამოვიდა მისი ლვიძლი ძმა დავითი.  
სამს წელიწადს გასტანა სკომონის ბრძოლამ დავითთან

და მის შემწე სპარსელებთან. სკიმონი ყოველს შეხვედრული სჯობნიდა დაეითს და, თუ ვერა გააწყო მასთან, ეს ჩეკონიშიშის ბრალი, რომ ტფილისის ციხე ძალიან კარგად იყო გამაბრებული და შეუძლებელი შეიქნა ქართველთათვის მისი ოლება.

სკიმონ შეფიცგან შეეიწროებულმა დაეითმა (დაუთ-ხანად წოდებულმა გამაპშადიანების შემდეგ) სოხოვა ყაენს შეტი დაბმარება. შაპთამაზის ბრძანებით სკიმონის წინაამდეგ გამოილა შეჭრა ისევ ზიად-ოღლიშ დიღის ჯარით 1569 წ. სკიმონ მეუკე გაეშურა მტრის ჯარის დასახვედრად სომხეთში და დადგა ანწუფის. სპარსელების ჯარი რომ მივიდა ხუნანს, მასთან გამოცხადდა კახებერ ყორლანაშვილი და დაპპირდა გზის ჩვენებას სკიმონის ჯარზე თავდასასხმელად. ამ მოღალატის ჩვენებით სპარსელები მოვიდნენ ფარუხის. სკიმონშა არჩია თვითონ მისულიყო პირველად და ამიტომ წაიწია ფარუხისამდე და გაუმართა ბრძოლა სპარსებს, რომელთა რიცხვი ათჯერ აღემატებოდა ქართველებისას. გატარებულს ბრძოლაში სკიმონ მეფე ძალიან დაწინაურდა და შეერია სპარსელებს. კახებერ ყორლანაშვილმა აკნობა სპარსებს მის ვინობა. სპარსები დიღის მხნეობით შეეჯახნენ იმ გუნდს, სადაც სკიმონი იბრძოდა და დაატაცვევეს. შეფიც დატყვევების შეტყობის შემდეგ ქართველმა ჯარმა იბრუნა უკან პირი.

დაეითო ახლა მთელის ქართლის მეფედ შეიქმნა. მაგრამ ეს მეფობა მხოლოდ სახელით ჰქონდა მას. ერთის მხრით ტფილისის ციხის მცველის უნებურად დაფიცს არაფრის გაკეთება არ შეეძლო, მეორე მხრით ქართლის ფიდებულები არ სცემდნენ დიღს პატივს და არ უწევდნ მორჩილებას იმისთვის მეფეს, რომელიც იყო სარწმუნოების მოღალატე და უცხო ქვეყნის გავლენის მონა. ამიტომ ყოველი დიდებული ისე ირჯებოდა, როგორც უნდოდა. ამას მოპყვა ბევრი უწესოება და თავნებობა, რომლის გამო მეტად შეწუხდა ქვეყანა.

იმერეთში ამ დროს მეფობდა გიორგი მეფე, აე ბაგრატ მეფისა, რომელიც მოკვდა 1548 წ. გიორგის მეფობაში აღსანიშნავია ურთიერთშორისი მტრობა და ბრძოლა მეფისა და

მთავრებისა: დადიანისა და გურიელისა. ამ მტრობისა და ბრძოლის დროს შეშველად ისინი იწვევენ ოსმალებს ლაზენერი ირად თვით ქართველებივე რევენ თავიანთ საქმეში უცხო სახელმწიფოს. კახეთში 1574 წ. მოკვდა მეფე ლევანი. მის რახტისთვის გაიმართა ბრძოლა ერთის მხრით მის უფროსის შეილის ალექსანდრეს, მეორე მხრით მის დანარჩენის შეილების შორის. ალექსანდრეს ეცილებოდა ტახტს მისი ძმა ელია მირზონი, და ამ უკანასკნელს ემხრობოდენ დანარჩენი ძმები, რომელნიც მასთან ერთად იყვნენ ნაშობნი ლევანის მეორე კოლისაგან. ამ ბრძოლაში გამარჯვებული დარჩა და გამეფდა ალექსანდრე.

სეიმონ მეფე რომ მიიყვანეს სპარსეთს, ყაენშა შაპთამაზება მოსთხოვა, გამამადიანებულიყო. სეიმონმა უარპყო წინადადება და ამიტომ გაგზანეს ალამურის ციხეში. შაპთამაზის სიკვდილის შემდეგ მისმა შეიღმა ისმაილ ყაენშა გაათავისულა სეიმონი ციხითვან და დაპირდა გაშევბას საქართველოში, თუ მამადიანობას მიიღებდა (1577 წ.). სეიმონმა მამადიანობაზე ახლაც უარი სთქვა. ამავე წელს მოკვდა ისმაილი და გაყაენდა მისი ძმა ხუდაბერდე, რომელიც აგრეთვე დაპირდა სეიმონ მეფეს გათავისუფლებას.

შაპთამაზის შემდეგ გამეფებული მისი მემკვიდრეები მეტად სუსტნი და უნიქონი იყვნენ. ამის გამო სპარსეთის ძლიერება შეირყა. მან აფიქრებინა ოსმალეთს სპარსეთის წინამდევ გამოლაშქრება და იმ ადგილების წართმევა, რომელიც მუდამ სადაცო იყო ამ ორს სახელმწიფოს შორის. დაეით მეფემ, რომელმაც შეიტყო, რომ სეიმონის გამოშევბას აპირებენო, ახლა მფარველობის თხოვნით მიმართა ოსმალებს. ოსმალეთის ჯარი მიაღდა სპარსეთს ქურთისტანის მხრით, მაგრამ დამარცხდა და უკან გამობრუნდა (1578 წ.). ჯარის უფროსმა ლალა-ფაშამ ახლა გადასწყვეტა საქართველო დაეტირა და შემდეგ შირვანი დაეპყრა, ამ აზრით შემოვიდა ჯერ სამცხეში. ყვარცყვარე ათაბეგი იძულებული შეიქნა დამორჩილებოდა. სამცხითვან ლალა-ფაშა შემოვიდა ქართლში. დაეითი ახლა აღარ დაე-

მორჩილი ოსმალებს და სპარსეთის ერთგულობა არჩია. ოსმალები რომ ტუილისს მიუხელოვდნენ, დავითმა მოსწერა—ქალაქის ჭი და თვით გაიხიზნა. ოსმალებმა დაიკირეს ქართლი. ლალა-ფაშამ ტუილისითვან გაგზანა ჯარი იმერეთისაკენ, ხოლო კიხეთის მეფეს მოსთხოვა ჯარით მიშველებოდა შირვანში სალაშქროდ. იმერეთის დასაპყრობად გაგზავნილი ჯარი უკან დაბრუნდა დამარცხებული. ფაშამი მეორე ჯარი გაგზანა კიდევ. ალექსანდრემ შეისრულა ფაშის მოთხოვნილება და გაქცყა შირვანში სალაშქროდ. შირვანითვან ჰლალა-ფაშა ისევ ქართლს დაბრუნდა. იმერეთში მეორედ გაგზანილი ჯარი კიდევ დამარცხებული დაუხვდა ტუილისში.

სეიმონ მეფე დიდის შუალედით გამოიცეირებოდა სპარსეთითვან ქართლისკენ, სადაც ახლა ოსმალები თარეშობდენ და სადაც მისი ცოლ-შვილი იყო დარჩენილი უპატრონოდ. შავსულაბენდე ყაენი ჰპირდებოდა გაშვებას მხოლოდ ერთის პირობით, რომ გამამაღლიანებულიყო. ბევრს ხანს ითმინა სეიმონმა, მაგრამ ბოლოს სამშობლოს სიყვარულმა დასძლია და, სამშობლოში დასაბრუნებლად, გარევნობით, ძალა-უნებურად მიიღო მამშადიანობა. ყაენმა მაშინ მისკა სეიმონს ფული და ჯარი და გამოისტუმრა ქართლს ოსმალების გასაღევნად (1578 წ.).

დავითმა რომ გაიგო, ყაენს სეიმონ მეფე გამოუსტუმრებია, ლალა-ფაშას გამოუტხადა მორჩილება და წავიდა სტამბოლს ხონთქართან. მის წასვლის შემდეგ თვით ლალა-ფაშამ იწყო აბარევი თასმალეტში დასაბრუნებლად, რადგან ევონა ციხებში ჩაყენებული ჯარი საკმარისი იქნებოდა ქართლის ხელში დასპერად. ლალა-ფაშა გზაზე იყო თასმალეტს მიშვალი, სეიმონ მეფე რომ ქართლში მოვიდა. მეფემ მოასწრო თასმალების ჯარის უკანა ნაწილზე თავდასხმა და საგრძნობელის ზიანის მიყენება.

ამის შემდეგ სეიმონ მეფე შეუდგა თასმალეტან დაჭერილის ციხეების აღებას და კიდევაც აიღო მალე უკა-

ლა ციხეები ტფილისის გარდა. ამასთან მოაწესრაგა ქართლის არეულ-დარეულობა.

სვიმონ მეფეს სრული ნდობა ჰქონდა სპარსეთისა და მა-ზასაღამე შეეძლო თავისუფლად ქმართნა თავისი სამეფო, მაგრამ მას ახლა მტრობდა კახეთის მეფე ალექსანდრე, რომელმაც თავის დის სვიმონ მეფის ცოლის სიძულილით თვით სვიმონიც შეიძულა. ამ სიძულილმა რავდენჯერმე შეატავა ალექსანდრე სვიმონს, რომელიც ყოველთვის გამარჯვებული რჩებოდა. თავის ძალით რომ ვერას აკლებდა, ალექსანდრე აბეზლებდა სვიმონს ყაენთან და სწამებდა მის ორგულობას. ამ დაბეზლების გამო ყაენმა გამოვზანა საქართველოსკენ დიდი ჯარი, რომ საბოლოოდ დაემორჩილებინა სვიმონი და გამოერთმია მძევლები. სპარსეთის ჯარის უფროსმა ფელუვანმა ყარაბალითვან დაიბარა თავისთან სვიმონიც და ალექსანდრეც. ორნივე გამოცხადდენ. აქ ფელუვანმა მოსთხოვა ორსავე მეფეს ერთგულობის ფიცი, მძევლებად შვილების მიცემა და პირობა ყოველ-წლიურის ხარჯის გადახდისა. სვიმონმაც და ალექსანდრემაც შეასრულეს ეს მოთხოვნილება (1581 წ.).

სვიმონმა ოსმალებს თითქმის სრულიად აალებინა ხელი ქართლზე. მხოლოდ ტფილისში-ლა იყო მომწყვდეული მათი მეციხოვნე ჯარი. ქართლის ხელახლად დასაკერად და ტფილისის მეციხოვეებისათვის სურსათის მისაწოდებლად ოსმალებმა გამოიღა შქრეს ქართლში 1581 წ. მაპმალ-ფაშის წინამდლოლბით. ოსმალებმა აიღეს ლორისა და გორის ციხეები და გაემართენ ტფილისისაკენ. გზაში მუხრანს ახლო მათ დაუხვდა სვიმონ მეფე და შეებრძოლა. ოსმალები დამარცხდენ და გიორგი გამოიქცენ. უშეტესი ნაწილი ჯარისა და სურსათისა ქართველებს დარჩათ. მხოლოდ მცირეოდენთ მოასწრეს ტფილისამდე მისელა.

ქართლში შემოსველისას მაპმალ-ფაშამ სამცხის ათაბეგი ქიოხისრო გაგზანა იმერეთის მეფესთან, რომ მიეწვია ის ქართლში გასაღა შქრებლად. გიორგი მეფემ მიიღო ოსმალებისწინადადება, გურიიელსა და დადიანთან ერთად შემოესია ზე-



მო ქართლს და ამ კუთხის დაბრძევის შემდეგ გაბრუნდა სუმუნავა

სკომონ მეფემ ბევრის ცდის შემდეგ თოლო ტფილის სამეცნიერო ციხე, ლორი და სამშვილდე (1583 წ.). ამის გამო თავის სამალებმა კიდევ გამოილა შექრეს ქართლში ფერად-ფაშის წინ ამძლოლობით. ლორის ციხის აღების შემდეგ, თავის ჯარით დაუხედა მათ წინ ხრამის პირად და შეებრძოლა ხარის-სოფელთან. თავის სამალები დამარცხდენ და უკან დაბრუნდენ (1584 წ.).

სამაგიეროდ თავის სამალებმა გაიმარჯვეს სპარსელებთან ბრძოლაში და შირვანში გამაგრდენ. ახლად გამეფებულმა ყაენშა შავ-აბაზშა გამართა მოლაპარაკება თავის სამალებთან შერიცხების შესახებ. ახალის ზავის ძალით სპარსეთმა სკნო თავის სამალების საკუთრებად ყველა ის ადგილები, რომლებიც მას ჰქონდა იარაღით წარმომეული სპარსეთისგან (1588 წ.).

ამ ზავის ძალით საქართველო მთლიად ცნობილ იქმნა ახლა თავის სამალების ხონთქრის კუთნილებად, რადგან აღმოსავლეთი ნაწილი მისი, რომელიც წინანდელის ზავის ძალით სპარსეთს ჰქონდა მითვისებული, უკანის კნელიად თავის სამალების ჯარმა დაიკირა. ქართველებისათვის ამ ზავს არაეითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა-რა, რადგან საქმით არაფერი შეცვლილა-რა მათ მდგომარეობაში. ქართველი შეფერები ყუჩას არ ათხოვებდნენ თავის და სპარსთა ზავებს. ისინი მხოლოდ თავიანთ დამოუკიდებლობისთვის ზრუნავდენ და მხოლოდ ძალას ემორჩილებოდენ.

სწორედ იმავე წელს, რა წელშიაც მთელი საქართველო ხონთქრისა და ყაენისაგან ცნობილ იქმნა ხონთქრის კუთნილებად, სკომონ მეფემ მოინდომა იმერეთის დაპყრობა გიორგი მეფის ჯავრის ამოსაყრელად. 1588 წ. სკომონი გადავიდა იმერეთს. ლევან მეფემ (გიორგის შვილმა), მიიწვია მეშვეოლად დადიანი და გურიელი, მაგრამ ესენი არ მიეშველნენ და მარტოდ თავის ჯარით შეებრძოლა სკომონს. სკომონმა დაამარარცხა ლევანი და გააქცია, იმერეთი-კი თითონ დაიპყრო.

სკომონი იმერეთითვის მალე დაბრუნდა თავის სამალების ქარ-



თლში შემოსევის შიშით. მის წასკლის შემდეგ ლევაზა ნასეკი დაიპყრო იმერეთი. ახლა მან დაუწყო მტრობა მაშინ დადგინდა იმის გამო, რომ არ მიეშველა სვიმონის წინაამდევ. ამ მტრობას ის მოჰყეა, რომ დადიანმა 1590 წ. აიღო ქუთაისი და ტუცედ წაიყვანა ლევან მეფე, ხოლო მის მალე სიკედილის შემდეგ მეფედ დასვა როსტომ ბატონიშვილი. გიორგი გურიელმა არ ინდომა დადიანის დასმული მეფე, შევიდა იმერეთს ჯარით აიღო ქუთაისი და გადევნა როსტომი, ხოლო მეფედ დასვა ბაგრატ ბატონიშვილი.

1591 წ. სვიმონ მეფე ხელახლად გადავიდა იმერეთს და დაატუცევა ბაგრატ მეფე. ქუთაისში თავისი მეციხოენები ჩააყენა და დაბრუნდა უკან. სვიმონი რომ ქართლს გადმოვიდა, როსტომ მეფემ დადიანის შემწეობით აიღო ქუთაისი და იმერეთი დაიპყრო. ამის შემტყობი სვიმონ მეფე მესამედ გადავიდა იმერეთს, დაიჭირა სხვა და სხვა ციხეები და მიაღვა ქუთაისს. როსტომი გაიქა ქუთაისითვინ დადიანთან. სვიმონ მეფე წავიდა ოდიშისკენ. წინ დაუხვდა მის დადიანის ჯარი და მოხდა ბრძოლა ოფიშეეთში. ბრძოლაში დამარცხდა სვიმონ მეფე და დაბრუნდა უკან. იმერეთი დადიანის შემწებით დაიჭირა ისევ როსტომმა.


სვიმონ მეფემ ახლა ხელი აიღო იმერეთის დაპყრობის სურვილზე და ისევ ქართლითვინ ოსმალების განდევნას შეუდგა. მეფემ აიღო ყველა აღვილები, რომლებიც კუთხი ისმალებს ეჭირათ, გარდა გორის ციხისა. რამდენმამე ცდამ მის ასაღებად უქმად ჩაუარია, ბოლოს უკანასკნელი ლონე იხშარა, რომ აეღო და კიდევაც აიღო ცხრა თვის გარემოცვის შემდეგ. (1599 წელს).

ამ ამბის შეტყობის შემდეგ ხონთქრის ბრძანებით გიმილაშქრა ქართლში ჯაფარ-ფაშამ დიდის ჯარით (1600 წ.). სვიმონიც მოემზადა მის დასახველრად და დაბანაკდა სალირა-შენში. ოსმალები დადგნენ მის ახლო ნახიდურში და ვერ მცირდენ პირველად ოშის დაწყებას. სვიმონ მეფემ ვერ მოითმინა და თვითონ წავიდა მტრის ბანაკის დასაზვერრად. ამ დაზ-

ვერცის დროს იცნებ ისმალებმა მეფე, გამოედევნენ უდიდესი ცირკულარი კირეს. მის შეპყრობის შემდეგ ისმალები გაემართენ ლორის ციხისკენ. სკოლის მეფის შეილი გიორგი დაედევნა მათ ქართველის ჯარით და კიდეც გაუმართა ბრძოლა, მაგრამ ისმალებმა შეასწრეს ციხეში. ქართველები უკან გამობრუნდენ. ხოლო ისმალებმა სკოლის წაიყვანეს ტყვედ სტამბოლს.

დ. კარიჭაშვილი.





## තුන්කිරී සහ ජිතියා.

(තෙරුම්බිඳුව ත්‍රාවනම්බිඳුව සේවාස්ථානය).

(චැපරිස්සුලුපා).

V. ම ල ම න ම න ම න.




දාමිත්‍රි යුවුලුතුවේ ස්කර්මනඩදා  
සිත්තෝව්, සින්ංතලෝව්, ඒස්සේනදා තම්බ.  
යුලුය්ස්කර්මන්ත්-ජි මාන ගාලුප්‍රන ම්‍යෙ-  
ලුවද 200 එළුවේ ඊන්නඹ, තුළු-  
මිසි තිබුණු, යුලුවා, යුවුලුතුවේ

තුවාල ඊන්න ප්‍රේමනදා.


ලාජාසා දා මූෂ්‍යාංශීය තාක්ෂණිත නිදුරුජා යුලුය්ක්ර්මන්ත්. මෙම ලාජාසා නාත්‍රේසි. මෘගිලාත්‍රේද දායුරිලුවා ජ්‍යෙෂ්ඨාලුවේ නායුෂ්ජීද්. ලාජාසා නාත්‍රේසි මිශ්‍රාත්‍රාන්‍ය නායුෂ්ජීද් තාන්, මෘග්‍රාම චර්ංගිතාර්ථි ප්‍රුව්‍ය-

ლება არ მოხდა მათს მდგომარეობაში. ახლა ლაქის რამდენიმე წავუსვ-წამოვუსვამ შალისა ან მაუდის ნაკერტადა შემოუადგინებები მივუახლოვებ ქალალდებს. უცქირეთ, ქალალდებმა მოძრაობა იწყეს, თოთქოს ლაქის სული ჩაუდგათ. უცქირეთ, როგორ დახტიან და იწევენ ლაქისკენ; აი, ზედაც მიეკრძნენ.



ამავე ცდას შუშის ჯოხით მოვახდენ. შუშის ჯოხს წავუსვამ რამდენჯერმე ტყავს, რომელსაც წინადვე წატბობილი აქვს ამაღვამა, და შემდეგ ქალალდებს მივუახლოვებ. ქალალდები ისევე დახტიან და ეკვრებიან შუშის ჯოხს, როგორც წინად. ლაქისა და შუშაზედ წასმა-წამოსმით გაჩნდა რაღაც ძალა, რომელიც იზიდავს თვისკენ ქალალდის ნიგლეჯებს. ეს მიმზიდველი ძალაა ელექტრონი.

**ორგვარი ელექტრონი.** აბა, მიუურეთ, საყურადღებო მოვლენას გიჩვენებთ. პირსაცობის (პრობელის) ნაკერს ვაბაშ აბრეშუმის ძაფს და კიდებ. ლაქის ჯერ ვუსვამ მაუდს, მერე მივუახლოვებ პირსაცობს. ეს უკანასკნელი ისევე მიიზიდა ლაქამ, როგორც წინად ქალალდი. მაგრამ უცქირეთ: როგორც კი მიეკარება ლაქის, ელდა-ნაცემებით უკან ბრუნდება და რამდენიც უნდა ვესადოთ, ვერას გზით ვეღარ მიეკარებთ პირსაცობს ლაქისა.



ახლა ავიღებ შუშის ჯოხს, წავუსვამ ტყავს და მივიტან პირსაცობთანა. როგორცა პხედავთ, კი აღარ გაურბის იგი შუშასა, პირ-იქით თვითონ ისწრაფვის მისკენ. მაგრამ მიკარებისათანავე უკანა ხტება და სხვა მხარეს გარბის. ახლა რომ ისევ მიუახლოვთ ლაქა პირსაცობს, კვლავ მიიზიდავს მასა. ამ რიგად თურმე ელექტრონი ორ გვარი ყოფილია: ერთი წნდება ლაქიზე, მეორე-კი შუშაზედ. პირველს უწილდებენ ფისის ანუ ლაქის ელექტრონს, მეორეს-კი—შუშისას. ლაქის ელექტრონი წოდებულია აგრეთვე „მიმზიდველ“

ელექტრონით, შუშის ელექტრონი—„უარმყოფ“ ელექტრონია ნათ. თუ რაღ ეძინიან ესრე, ამას კვლავ აგიხსნით. უკველი საგანზედ ხახუნით ჩიდება ელექტრონი. ზოგ საგანზედ ჩიდება მიშნიდველი ელექტრონი, ზოგზე-კი უარმყოფი ელექტრონი. მაგრამ ყველაზედ ნათლად ეს განსხვავება სჩინს ლაქასა და შუშაზედ.

**მიშნიდვა და უკუხტომა.** პხედავთ, ხის წებოს კარგად მოხრდილი ნაკერი დაკრულია ჯობზედ. ვიღებ მატყლს და დიდ-ხანს კუსვამ წებოს. ქალალი ან ნემის რომ მიუახლოვთ, წებო მიიშიდავს. თუ რომ თითს მივაკარებ, თითს და წებოს შუა გაიელვებს, ნაპერწყალი, და ამასთან ისმის ტკაცუნი ნაპერწყალი ისეთივე ელვაა, როგორსაც ცაზე-და ვხედავთ, მხოლოდ სუსტია. ტკაცუნი-კი ქუხილის ნიმუშია. აბრეშუმის ძაფზედ პირ-საცობის მაგივრად რომ ჩამოვყიდოთ ლაქის ნაკერი და მატყლი ღონივრად წავუსვ-წამოვუსვათ, მერე ეს ლაქა, ხელში რომ მიქირავს, მივუახლოვთ ჩამოვყიდებულს ლაქას, ლაქის ნაკერი-კი არ მოიწევს ჩემი ლაქისკენ, პირ-იქით გაურბის მას.


პირ-იქით, თუ გაელექტრონებულს შუშის ჩამოვყიდებთ, ჩემს ლაქას მიიშიდავს იგი, შუშის-კი გაექცევა. ამგვარად უნდა დავაკენათ ამ რამდენისამე ცდისაგან, რომ ერთგვარი ელექტრონი ერთი შეორეს გაურბის, სხვა-და-სხვა გვარი-კი ერთი მეორეს იზიდავს.

**ელექტრონის კარგი და ცუდი გადამცემი საგნები.** ზე-ვით გითხარით, რომ ყოველ საგანზედ ხახუნით ჩიდება ელექტრონი. მაგ. რეზინი, ან გოგირდი ხახუნის შემდეგ იზიდავენ ქალალს. ელექტრონი შეიძლება გავიჩინოთ ჩემის თმაშიაც უბრალო ვარცხნით. როდესაც კატას ბეწვზედ უსვამთ ხელს, მაშინაც აჩენთ ელექტრონს. აბა, სკადეთ და კატას ლამე ხელი წაუსვით, სიბრელეში თქვენ შშეენივრად შეტნიშნავთ, რომ კატის ბეწვი ნაპერწლებს გამყრის ტკაცა-ტკაცითა. მაგრამ უცეირეთ რეზინის სახაზავსა, ამდენი ხანია კუსვამ მაუდს, მა-



გრამ მაინც არაფერი არ გამოვიდა. რა მიზეზია? აბრ, ახლა სახაზავის ბოლოს შემოვახეოთ აბრეშუმის ხელსახოციადაცაა ისე განვაგრძოთ ცდა, სახაზავზედ ჩნდება ელექტრონი. როცა პირდაპირ ხელში მეტირა, ელექტრონი არ გაჩნდა, მაგრამ როგორც-კი აბრეშუმის ხელსახოცით დავიკირე, სახაზავმა მაშინვე მიიზიდა ქალალდი. მაშასადამე, აქ ჩემი ხელი ყოფილა დამნაშავე? სწორედ ასეა: სახაზავზედ წინადაც იყო ელექტრონი, მაგრამ გადმოდიოდა ჩემს ხელში, ხელიდგან გადადიოდა სხეულში და მერე მიწაში, რომელზედაც ვიდექ. აბრეშუმის ხელსახოცმა-კი ელექტრონი აღარ გამოუშვა ხელამდის და სახაზავს დაურჩინა.

შეიძლება ეხლა თქვენ დაგებადოთ კითხვა: რაც გაჩნდა ლაქისა და შეშაზედ ელექტრონი, როდესაც ხელსახოცი არ გვიხმარია? ახლავე გიპასუხებთ: ავილოთ ლაქის ახალი ნაკერი. როგორც შეედავთ, ამაში არ არის ელექტრონი. ლაქის ოდნავ წავუსვამ მაუდს, მოლად ლაქის-კი არა, მხოლოდ ბოლოს.



უცემრეთ, მხოლოდ ბოლო მიიზიდავს ქალალდს, სხვა დანარჩენი ადგილი არაფითარს გავლენას არ იქონიებს ქალალდზედ. მაშასადამე, ელექტრონი დარჩია იქ, სადაც პირველად გაჩნდა, ლაქის დანარჩენს ადგილს ელექტრონი არ გადაედო. ლაქა ცუდი გადამცემი ყოფილა. სიტყვა „გადამცემი“ თქვენთვის ახალი არ არის, წინადაც რამდენჯერმე მიხსენებია მისი სახელი. მაშინ როდესაც რკინის სახაზავი წავუსვით მაუდს, ელექტრონი გაიფანტა მოლად სახაზავში, რადგანაც რკინა კარგი გადამცემია ელექტრონისა. ადამიანის სხეულიც კარგად გადასცემს ელექტრონს, თუმცა რკინაზედ ცუდად. აგრეთვე კარგი გადამცემია მიწა. ამიუმშაც, როგორც-კი ელექტრონი გაჩნდა სახაზავის ბოლოზედ, ის იმ წამსვე გადაეცა მოლად სახაზავს. სახაზავიდგან გადმოვიდა ჩემს ხელში, ხელიდგან სხეულში და სხეულმა-კი გადასცა მიწას. აბრეშუმი ცუდი გადამცემია. ამიტომ შემოვახეოე ხელს აბრეშუმის ხელსახოცი და ამითი კარგა ბლომად

შევუნახე სახაზავს ელექტრონი. მმ რიგად აბრეშუმის ხელსა—  
ხოცმა გზა შეუკრა ელექტრონს და არ მისუა წეტავირომე—  
გადასულიყო ჩემს ხელში. თი, ამ მოქმედებას, რომლის შემ—  
წეობითაც საგანზედ ჩნდება ელექტრონი, ჰქვიან განცალკევ—  
ბა. ამისთვის ხმარობენ აბრეშუმს, შუშას, წებოს, ლაქას, რა—  
ზინს და ფაიფურს. ყველა ესენი ცუდად გარდასცემენ ელექ—  
ტრონს. მატყლი, ტყავი, ხმელი ხეც აგრეთვე ცუდი გადამ—  
ცემი არიან. ლითონი, წყალი და ყველა ის, რაც წყლით არის  
გაელენთილი, როგორც მაგ. ნორჩი ხე, პირუტყვი, ნოტიო  
მიწა—კარგად გადასცემენ ელექტრონს.

### 6. ლ—ური.

(გაგრძელება იქნება).





ხიდგან—გაზეთამდე.

(ფრანგულით).

ეიზენტალის ერთს დიდს გერმანულ ქარხანის დირექტორებს უნდოდათ შეეტყოთ, რამდენი დროა საჭირო, რომ ხე გაზეთად იქცეს და აი, რა საყურადღებო ცნობები შეკრიბდეს: დილის 7 ს. და 35 წ. მახლობელს ტყეში მოსკრე: 3 ხე და ტოტების მოშორებისა და გაქერქვის შემდევ წაილეს, ქარხანაში მოხარუშეული და კარგიდ ამონელილი ხე ქალალდის მანქანებში ჩაუშვეს და 9 ს. და 34 წ. პირველი ფურცელი უკვე მზად იყო. ყოველ დღიურზე განხეთის სტამბა ოთხს ვერსაზედ იყო დაშორებული. ავტომობილით გაგზავნილი ქალალდის ფურცელი მაშინვე პრესსის (ჭახრაკის ქვეშ ჩიდომ და დილის ათ საათზე დაბეჭდილი გამოვიდა. მაშასადამე, სულ ორი საათი და 25 წ. მოუნდა, რომ ახალის ამბების წაკითხვა შესაძლებელი ყოფილიყო იმ ხიდგან მიღებულს ქალალდზედ, რომელსაც იმ დილით ტყეში ჯერ ისევ ნიავი არხევდა.

ნათლიკო.


ა 6 დ ა ზ ე ბ ი.

- 1) რეგვენი ბრძენზედ ბრძენია, რაშიც გამოცდილია.
- 2) კეუამ მოქამა სოფელი, ვერც ხმალმა ამოლებულმა.

გ ა მ თ ც ა ნ ი ბ ი .

- 1) ერთი რამ პრტყელი ფურცელი  
 გადაგვიფრია თავზედა,  
 ხშირად ასხია მარცვალი,  
 არ დაითვლების მაზედა;  
 არც არი ბარად ნათესი,  
 არცა ასხია მთაზედა;  
 სცვივის და მოდის ძირთაკენ,  
 არ იპოვების კარზედა.
- 2) ყველას უნდა.

რ ე გ უ ს ი



ЕЖЕДНЕВНАЯ ГАЗЕТА

# ЗНАНИЕ

Тифлисъ. Головинскій проспектъ, рядомъ съ Циркомъ.

Подписная цѣна помѣсячно—1 руб.

Плата за объявления: впереди текста за строку петита 15 к., позади текста—7 к. Многократные объявления—по соглашению съ конторой. Объявления от лица, ищащихъ труда, печатаются за половинную плату. Траурные объявления по 3 руб.

Подписка и объявления принимаются въ конторѣ редакціи ежедневно отъ 9 до 4 ч. дня и отъ 7 до 8 час. вечера.

Редакторъ принимаетъ для личныхъ объясненій ежедневно отъ 1 до 2 час. дня.

Статьи, присыпаемые въ редакцію, въ случаѣ надобности подлежатъ исправленію и сокращенію. Крупные не принятые статьи сохраняются въ продолженіе 1 мѣс., мелкие—не возвращаются. На рукописяхъ должны быть означены: фамилія автора, его адресъ и условія гонорара; безъ этого послѣдняго условія статьи считаются бесплатными.

Подписка и объявления принимаются въ Тифлисъ—въ главной конторѣ—на Головинскомъ пр., рядомъ съ циркомъ.

ОБЩЕСТВЕННАЯ, ЛИТЕРАТУРНАЯ и ПОЛИТИЧЕСКАЯ  
— ГАЗЕТА —

# КАВКАЗСКАЯ РѢЧЬ

ПОДЪ РЕДАКЦІЕЙ М. А. ДЖАБАРА  
выходитъ въ Тифлисъ ежедневно, кроме  
дней послѣ праздничныхъ.

«КАВКАЗСКАЯ РѢЧЬ»—газета независимая, виѣ партійная.  
въ «Кавказской Рѣчи» будуть помѣщаться

КАРРИКАТУРЫ  
художника О. И. ШЛІНГА.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: въ Тифлисѣ—за 1 м.—60 к., до конца года—1 рубль, въ друг. города—1 м.—90 к., до конца года—1 р. 50 к., ОБЪЯВЛЕНИЯ: на 1-й стр. за строку петита—10 коп., на 4-й стр.—5 коп. Многократные и большія объявленія съ уступкой.

ପାତ୍ରମାନଙ୍କ  
ବିଜ୍ଞାନିକ  
ବିଦ୍ୟାଲୟା

ପ୍ରକାଶନ କମିଶନ୍ ପରିଷଦ୍ ପରିଷଦ୍ ପରିଷଦ୍

**120**